ოთხშაბათი, 17 მარტი 1910 წ. **№ 35**

# სხივი

**საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

გაზეთი „ახალი სხივი“ ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. ... საზღვარ-გარეთ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

განცხადებების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელზე —10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები, ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ერთი შაური. რედაქციის ადრესი: თფილისი, ვანქის ქუჩა



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ახალი სხივი“

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის

გაზეთი ღირს: თფილისსა და თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., საზღვარ-გარეთ: ერთი წლით 14 მ., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ., ერთი თვით: თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კ.

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში „ახალი სხივის“ კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ქიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კეცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში ს. ორაგველიძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფული რედაქციის კანტორაში.

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა № 3, შემოსავალი დიდი ვანქის ქუჩიდან.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. „Шрома“, **Калистрату Конст. Цуладзе.**

## ქართული თეატრი

**პარასკევს, 19 მარტს, 1910 წ.**

**ნინო კოლხიდელი**

ქართულ მსახიობთა ამხანაგობის დახმარებით გამართავს წარმოდგენას კონცერტითურთ.

წარმოდგენილი იქნება:

I

## პირველი ბუზი

მხიარული კომედია 3 მოქმ. გადმოკეთებული **ვალ. გუნიას** მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ნ. კოლხიდელი. ა. კარგარეთელი. ნ. გამყრელიძისა, ბ. ასათიანი ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, გ. გედევანოვი, ა. იმედაშვილი, გ. იმხნელი, დ. მგალობლიშვილი, კ. ქელიძე და სხვანი.

II

## დივერტისმენტი

ვანო სარაჯიშვილი—იმღერებს რომანსებს, ი. ჰისენკო—წაიკითხავს ლექსებს და სცენებს, ვ. აბაშიძე და გ. გედევანოვი—იმღერებენ კომიკურ კუპლეტებს, ნ. კოლხიდელი—წაიკითხავს ლექსებს, გ. იმხნელი—წაიკითხავს ლექსებს, ნ. ერისთავი—წაიკითხავს ლექსებს, ი. გრიშაშვილი—წაიკითხავს სცენებს და ლექსებს.

**დასაწყისი საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

## ჟურნალ „სხივის“ მკითხველთა

და ხელის მომწერთა საყურადღებოთ

რადგან ჟურნალი „**სხივი**“-ს გამოცემა დღეიდან ჩვენზე გადმოვიდა, ჟურნალი კვლავ იწყებს გამოსვლას იმავ პროგრამით და იმავ შინაარსით, როგორც ამდენ ხანს გამოდიოდა. მორიგი № 12 გამოვა კვირას, 28 მარტს (თფილისში გაიყიდება შაბათ საღამოს, ხოლო პროვინციებში გაიგზავნება პარასკევს, 21 მარტს). დღეიდან ყოველივე წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით:

Тифлисъ, типографія «Культура» Вельяминовская улица, Валеріану Михайловичу Биланову. ვსთხოვ, ყველა ხელის მომწერთ, რომელთაც რომელიმე ნომერი არ მიუღია შეგვატყობინოს, რომ ხელმეორეთ გავუგზავნოთ. წლიური ხელის მომწერლები ყველა ნომრებს უკლებლივ მიიღებენ პრემიებითურთ.

**ვალერიან ბილანიშვილი.**

## მეაბრეშუმეთა საყურადღებოთ

ამით მაქვს პატივი გამოვაცხადო, რომ ცნობილი

## ძმ. პასხალიდების

**აბრეშუმის თესლი**

წელს აქვთ მინდობილი გასასყიდათ შემდეგ ფირმებს:

**ბათუმში:** მ. ს. მანუილიდს ზღვისპირის ქუჩაზე., ამხანაგობა „**იმედს**“ მიხაილოვის ქუჩაზე., და მ. გ. რუსიძეს მარიინსკი პროსპექტზე. **სამტრედიაში:** პორფილე ჰეიშვილს. **ხონში:** ქუთაისის გუბერნიის პირველ მეაბრეშუმეთა ამხანაგობას (სოფელ კუხში) **ქუთაისში:** კონსტ. ოქ-ძე მელაშვილს. **ახალსენაკში:** ა. ბ. ჩაჩიბაიას და გ. ი. სალაყაიას.

როგორც გასულ წელს, ისე ამ წელსაც „ძმ. პასხალიდების“ მიერ ქუთაისის გუბერნიისათვის აბრეშუმის თესლი საგანგებოთ დამზადებულია, ქუთაისის გუბერნიის

**პირველ მეაბრეშუმეთა ამხან. დაკვეთით**

კავკასიისათვის ერთათ-ერთი წარმომადგენელი „ძმათა პასხალიდების“ ფირმისა **ძ. ს. მანუილიდი.** (12—5)

## თფილისის კერძო სამკურნალო

**30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით. ღია არის ყოველ დღე გარედან მოსიარულე ავათმყოფთათვის.**

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვერცხლის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე გ. დ.** შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერვების და ელ. კვირაობ., ოთხშ. და პარ. $10^{1}/_{2}$—11.

**გურქო გ. ა.** შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.

**კარშინი ა. ა.** კანისა და ვენ., ყოველ დღე, კვირას გარდა $2^{1}/_{2}$—$3^{1}/_{2}$ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინაგანი. ორშაბათ., ოთხშ. და პარ. 1—2 ს.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურგ. და დედაკ. ყოველ დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის. ორშაბათ. ოთხშ. და პარსკ. 2—$2^{1}/_{2}$ ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.

**პოპოვი ბ. ა.** ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—$2^{1}/_{2}$ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოველ დღე 9—10 ს,

**სოგოლევსკი ბ. ვ.** ქირურგ. ყოველ დღე. 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. (100—95)

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შელავათიანი საფასურით.

## ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695.

**ექ. ს. ვაშაყმაძე** კბილის ავათმყ. ყოველ დღე 10—11 ს.

**ექ. ი. ზოմართელი** ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ ავათმყ.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

**ექ. ბ. ა. პოპოვი:** ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

**ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი:** სამშაბათს ხუთ) და შაბათს 2—$2^{1}/_{2}$ ს.; თვალის ავათმყოფ.

**ექ. ე. გ. ფედოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 1—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევები, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

(100—95)

ფოთის ხელის მომწერთა

## საყურადღებოთ

რადგან ზოგიერთი ადგილობრივი ხელის მომწერლები გაზეთ „ახალი სხივი“ დროზე ვერ გვაძლევენ გაზეთის ხვედრ ფულს და მით მიფერხებენ დანიშნულ 20 რიცხვს გავუსწორო ანგარიში ხსენებულ რედაქციას, მოვაგონებ ზოგიერთებს, რომ მათ ჩამაბარონ გაზეთის ხვედრი ფული. ამასთან ვსთხოვ საერთოთ ყველა ადგილობრივ ხელის მომწერთ თვის 20 რიცხვამდე ჩამაბარონ ხვედრი ფული და მით შეძლება მომცენ დანიშნულ 20 რიცხვში ანგარიში გავუსწორო რედაქციას.

პატივისცემით ფოთელი აგენტი

**სიმონ ორაგველიძე.**

გაზ. **„მარცვალი“-ს რედაქცია**

აუწყებს მკითხველებს და ხელის მომწერთ, რომ გაზეთი „მარცვალი“ სხვადასხვა მიზეზებისა გამო შეჩერდა. ხელის მომწერთ თავიანთი ფული, მხოლოდ მოთხოვნილებისამებრ დაუბრუნდებათ, რადგან რედაქციის მდივნის დატუსაღების შემდეგ ზოგიერთი საჭირო ქაღალდები დაიკარგა და რედაქციამ ველარ გამოარკვია, ვის რამდენი ფული აქვს შემოტანილი. დაიკარგა აგრეთვე ხელის მომწერთა სია, რისთვისაც ვსთხოვთ ხელის მომწერლებს ფულის მოთხოვნის დროს კვიტანცია წარმოადგინონ.

ადრესი: Баку, Докторскій переулокъ, домъ № 5. А. П. Надирадзе. (2—1)

ამით საყოველთაოთ ვაცხადებთ, რომ ყოვლად საუკეთესოთ და უტყუარათ ცნობილი

## პასხალიდის აბრეშუმის თესლი

როგორც გასულ წლებში, ისე წელსაც მინდობილი აქვს **გასასყიდათ ფაბრიკისავე დადგენილ ფასებში**

**მათე გაბრ—ს-ძე რუსიძის კანტორას**

**ქ. ბათუმში,** მარიინსკის პროსპ. სახ. **№ 10** (15—13)

## მკერვალი ქალი

ვღებულობ შესაკერათ ყოველგვარ ტანისამოსს ქალების და ბავშვებისა **დაკლებულ ფასებში.**

ადრესი: Казбекская № 10 0—5

**კბილის ექიმი**

## რომანიშვილი—დგებუაძისა

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა **№ 34.**

**კბილის ექიმი**

## ს. ვაშაყმაძე

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დაღმართი სახ. 15.


## პრესა

მეოთხე დასის მენავის წერილებმა ერთი ანეგდოტი მომაგონა.

გურიელის ერთ მოსამსახურეს სახელათ მევარკაცი ერქვა. გამოვიდა მასხარა და გურიელს სთხოვა: იმას თუ მევარკაცი ქვია, მეც უნდა სახელი გამომიცვალო. მე მინდა დავირქვა—**მეცვიყო.**

სწორეთ ასე იქცევა ბ. მენავე. აქაო და მესამე დასი არსებობს, მეც მინდა ვიყო დასი და სახელი დავირქვა, მე მინდა მერქვას—„მეცვიყო“ და აი, უწოდა რა თავის თავს მეოთხე დასი, ჰგონია, რომ ისიც „მევარკაცი“ იქნება.

წინა წერილში ბ. მენავე გვარწმუნებდა, რომ მეოთხე და მესამე დასი ერთი და იგივე სათავიდან გამოდიან და ერთი და იგივე იდეალებით ცხოვრობენო. როცა ჩვენ დავუმტკიცეთ, რომ მას არ გაეგება რა იმ სათავის, საიდანაც მესამე დასი გამოდის, ნაცვლათ იმისა, რომ თავისი აზრი დაეცვა და ჩვენ გავემტყუნებიეთ, ლობე-ყორეს მოედვა, ნოეზე და აბრამზე ზღაპარს მოგვიყვა, ამ თავის თავზე გამოჭრილი ზღაპარით ორი სვეტი გააჭრელა და შიგ ერთად ერთი წინადადება გალესა. ესაა მრავალ ტანჯული წინადადება: „მიუხედავათ კლასობრივ ანტაგონიზმისა, მაინც **არსებობს საერთო ნიადაგი ბრძოლისა, არსებობისა და სიცოცხლისა** (ხაზი მენავისაა).

საბრალო წინადადება! რამდენი ხანია მას ყველა ჯურის ნაციონალისტები სძიძგნიან.

ჩვენ ისიც ავღნიშნეთ, რომ მეოთხე დასის მენავე ბ. **ჯორჯაძეს** იმეორებს თქვა. მენავე კი ირწმუნება: მეპრესეს გვარები აურევია, აკაკი ჩხენკელის მაგიერ არ. **ჯორჯაძეს** იხსენიებსო. რაში გამოიხატა ნეტავ ეს „გვარების არევა“? ან და რა იცის ბ. მენავემ „ყოველ კვირას“ ვისი წერილები ისტამბება!? იმის გაგებაც ხომ არ შედის მეოთხე დასის პროგრამაში, თუ ვისი წერილი იბეჭდება ჩვენს გაზეთში და როდის?!

„ეროვნული თვით შეგნებით გამთბარ“ მენავეს ესეც ეპატიება!

გარდა საერთო ბრძოლის, არსებობის და სიცოცხლის (!) ნიადაგისა, და „ეროვნული თვითშეგნებით გათბობისა“ ჩვენ ვერაფერი ვიპოვეთ ბ. მენავის საპასუხო წერილში, და ასეთ მოკამათესთან კამათისთვის არც დრო გაქვს და არ ხალისი.

საჭიროა ავღნიშნოთ კიდევ ერთი რამ:

**„მესამე დასმა თავისი კალთ გადეწა და ახალ ძალას, (ეს ძალაა ბ. მენავე! მპ.) ბუნებრივის აუცილებლობით უთმობს ადგილსო,—ლაღადებს ბ-ნი მენავე.**

მაშ მივდივართ?! მშვიდობით!

Плачьте красавцы горныхъ аулъ
Справьте поминки по насъ,
Вслѣдъ за послѣдней мѣткой пулей—
Мы покидаемъ Кавказъ!..

## სახელმწიფო დუმა.

(სააგ. დეპ.)

**15 მარტი.**

ღებულობს რა დუმა სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტის ხარჯთ-აღრიცხვას კომისიის გამოანგარიშებით, გადადის მიწათ მოქმედების დეპარტამენტის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვაზე. მოხსენებას აკეთებს გრაბსკი. ის აღნიშნავს, რომ დეპარტამენტის გამოანგარიშებით ხარჯთ-აღრიცხვა 40 პროცენტით გადიდებულია. ეს ზედმეტი ფულები გადადებულია ერობების და სოფლის მეურნეთა დასახმარებლათ. მომხსენებელი სურვილს აცხადებს შემუშავებულ იქნას კანონ-პროექტების მთელი რიგი სასოფლო სამეურნეო განათლების შესახებ და ეხლანდელი დეპარტამენტი მიწათ-მოქმედების სამინისტროთ შეიცვალოს. ლაპარაკობენ ბოგდანოვი, ივანოვი მეორე, ტომილოვი და ზვეგინცევი. ყველანი აღნიშნავენ, რომ საზოგადოთ დეპარტამენტი ნაკლები ყურადღებით ეპყრობა სასოფლო მეურნეობის საქმეს,—სამეურნეო სკოლებში სწავლის საქმე ცუდათ არის დაყენებული.

დასასრულ დუმა ღებულობს ხარჯთ-აღრიცხვას კომისიის გამოანგარიშებით. ზვეგინცევი მოხსენებას აკეთებს სასოფლო ეკონომიის და სასოფლო სამეურნეო სტატისტიკის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ. ხარჯთ-აღრიცხვა უდრის **1,508,764** მანეთს, შარშანდელზე **702,932** მანეთით მეტი.

დუმა ღებულობს ხარჯთ-აღრიცხვას. გრაბსკი მოხსენებას აკეთებს მიწების გაკეთების განყოფილების ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ. ხარჯთ-აღრიცხვა უდრის **2,362,160** მანეთს, რასაც დუმა ღებულობს.

შემდეგ იხილავენ და ღებულობენ სატყეო დეპარტამენტის ხარჯთ-აღრიცხვას და სხდომაც იხურება.

შემდეგი სხდომა—16 მარტს.

**სახელმწიფო საბჭო.**

თავმჯდომარეობს აკიმოვი. დარბაზი სავსეა ხალხით. მინისტრთა სავარძელში მოსჩანს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. თავმჯდომარე აცხადებს, რომ მუხლებათ წაკითხულ იქნება 9 ნოემბრის კანონი და სთხოვს ორატორებს, რომ საქმის ნაყოფიერებისათვის მოკლეთ ილაპარაკონ ამ კანონის შესახებ. მომხსენებელმა სტიშინსკიმ გაახსენა საბჭოს, რომ ჯერ კიდევ ამ ნახევარ საუკუნის წინ სახელმწიფო საბჭომ სთქვა თავისი გადამჭრელი სიტყვა იმ კანონის შესახებ, რომელიც შეეხებოდა მრავალ მილიონიან რუსეთის გლეხ-კაცობას. ეს საკითხი რამდენათაც ძნელია, იმდენათ დიდ-მნიშვნელოვანი და საპასუხის-მგებლოა. საჭიროა ყოველ მხრივი განხილვა, ხომ არ ჩაიდინა შეცოდება ხელმწიფისა და ქვეყნის წინაშე, რომ დაამტკიცა კანონ-პროექტი იმ სახით, რომლითაც ის დარჩა მის განხილვის შემდეგ დუმაში. მომხსენებელი ამტკიცებს სამოსახლო მფლობელობის უპირატესობას სათემოზე და ციფრების მთელი რიგით ასაბუთებს 9 ნოემბრის კანონის ცხოველ-მყოფელობას. მომხსენებელი ხაზს უსვამს იმ მოვლენას, რომ ამ კანონის გამოცემის შემდეგ გეომეტრიული პროგრესიით გაიზარდა რიცხვი განცხადებებისა სანადელო მიწების კერძო საკუთრებათ დამტკიცების შესახებ. მეორე მომხსენებელი კრასოვსკი ამბობს, რომ საჭიროა დამტკიცდეს კომისიის გადაწყვეტილება, რომ მთავრობამ შეიმუშაოს პროექტი, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს მიწების დამტკიცება. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამბობს, რომ 9 ნოემბრის კანონი საკმარისათ არის გარკვეული როგორც დუმაში, ისე საზოგადოებაში და პრესაში. ეს კანონი უკვე შეუსისხლ-ხორცდა გლეხ-კაცობას. თვით ცხოვრებამ და გამოცდილებამ დაამტკიცა მისი აუცილებელი საჭიროება და ცხოველ-მყოფელობა. პოლიტიკურმა აგიტაციამ და რევოლიუციამ მაშინ გაიდგეს ფესვი ხალხში, როდესაც მოძრაობა დაიწყეს გლეხებმა. აი ამისათვის აუცილებლათ საჭირო შეიქნა გლეხ-კაცობის მდგომარეობის გაუმჯობესება—მისი მიწათ-მფლობელობის მოწეს-რიგება. პრინციპიალური მხარე კანონ-პროექტისა შეადგენს მთავარ ღერძს ჩვენი შინაური პოლიტიკისას. გლეხების უფლებრივათ გათანასწორება სხვა წოდებებთან ფაქტათ, სინამდვილეთ უნდა გადიქცეს. მცხოვრებლების მხრით გულ-მხურვალე გამოძახილი და ის ენერგია, რომელმაც იჩინა მათში თავი, უმტკიცებენ მთავრობას, რომ ის სწორ გზაზე მიდიოდა და აკმაყოფილებდა ხალხის უსაჭიროეს მოთხოვნილებას. მას ტყუილათ არა სწამდა თავისუფალი გლეხობის სახელმწიფოებრივი ძალა.

გრაფი ვიტე მომხრეა პირადი საკუთრებისა და კანონ პროექტის ძირითადი დებულების მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ძალადობას არ დაეყრდნობა. კერძო საკუთრება ძვირფასია, სანამ მესაკუთრე ფლობს თავის საკუთრებას. უფლებრივ გათანასწორების ნაცვლათ ეს კანონ-პროექტი უფრო დააშორებს გლეხკაცობას დანარჩენ წოდებათაგან. კანონ-პროექტი ვიტეს აზრით კანცელიარული ნაფიქრის ნაყოფია და როგორც ასეთი, ის ნაკლებ სარგებლობას მოუტანს გლეხკაცობას.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**16 მარტი.**

**სპარსეთი**

**თავრიზი.** სომეხთა სასწავლებელში სპექტაკლის დროს ახალგაზდა სპარსელებმა (მლადო პერსი) წაიკითხეს ლექსები და წარმოსთქვეს სიტყვები რუსეთის საწინააღმდეგო. უცნობი ავტორი ამტკიცებდა, რომ მოსალოდნელია რუსეთის და სპარსეთის შეტაკება. სპექტაკლს დაესწრენ თავრიზის პოლიცმეისტერი, სერდარ-ბოგადური და ეფრემი. ზოგი-

ერთმა მაყურებელთაგანმა ენერგიული პროტესტი განაცხადა არა ტაქტიკურ მოქმედებაზე.

**თეირანი.** იმ მინისტრებმა, რომლებმაც სამსახურიდან გასვლა ითხოვეს, უკანვე წაიღეს თხოვნები. კაბინეთი უცვლელათ რჩება. სეპეხდარის წინააღმდეგ ინტრიგებმა თავი იჩინეს. აბრალებენ რუსების მიდგომას.

## საზღვარ-გარეთ

**პარიზი.** ფედერაციის და მასწავლებელთა კონგრესმა საჭიროთ სცნო მასწავლებელთა და მუშათა სინდიკატების დაახლოვება და შეერთებული პროპაგანდა პირველ-დაწყებითი სკოლის რეფორმისთვის.

## რუსეთი.

**სამარა.** სამოსამართლო პალატამ ოთხი თვის ციხე გადაუწყვიტა ტელეგრაფის უფროსს იანდლოვსკის, რომელმაც 1905 წელს უმაღლესი დეპეშა არ გადასცა ლინევიჩს.

**ცარიცინი.** სადგურ შეკეტოვკაზე თავს დაესხენ გოლდობანის ხერხის ქარხნის კასირს. წაართვეს 514 მანეთი. ორი მათგანი დაიჭირეს.

**ლიბავა.** აღმოაჩინეს ს.-დემოკრატიული ორგანიზაცია. დაიჭირეს რამდენიმე კაცი. ჩხრეკის დროს იპოვნეს სტამბა და მრავალი ლიტერატურა.

**ყაზანი.** საოლქო სასამართლოში გაირჩა ყალბი ფულების კეთების საქმე. ბრალს სდებენ 10 კაცს, მათ შორის ილინს. დაზარებულია 100 კაცი.

**პეტერბურგი.** ფინლიანდიის კანონების პროექტი: შინაურ წეს-წყებილების ძირითადი შეცვლა მისის იმპერატორობითი უდიდებულესობის ნებით ხდება. საზოგადო კანონმდებლობის წესით სწარმოებენ საქმეები: ფინლიანდიის მონაწილეობა სახელმწიფო ხარჯებში, სამხედრო ბეგარა, რუს ქვეშევრდომთა უფლებები, რომლებიც ფინლიანდიის მოქალაქეებათ არ ითვლებიან, სასამართლოს დადგენილებათა შესრულება, საჯარო კრება, საზოგადოებები და კავშირები, საზოგადო კანონმდებლობას ეკუთვნის აგრეთვე ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოები შესახებ კანონი და სხვა.

ზემოთ ჩამოთვლილი საქმეები გადაეცემა სენატს მინისტრთა საბჭოში წარსადგენათ. კანონ-პროექტები რომლებიც ფინლიანდიის სეიმის კომპეტენციას ეხებიან, სახელმწიფო საბჭოს და დუმაში წარდგენამდე გადაეცემა სეიმს. სეიმის დასკვნას აცნობებენ რუსულ ენაზე, საზოგადო—კანონმდებლობის შესახებ დადგენილებას ფინლიანდიაში აქვეყნებს გენერალ-გუბერნატორი. საზოგადო წესით გამოცემული კანონები აუქმებენ ფინლიანდიის იმ კანონებს, რომლებიც არ ეთანხმება მათ. სახელმწიფო დუმის და საბჭოს წევრებს ფინლიანდიის მცხოვრებთაგანაც ირჩევენ. სეიმი ირჩევს ერთს წევრს სახელმწიფო საბჭოში... (დამახინჯებულია) დუმაში ირჩევენ ოთხ წევრს. რუსული ენის არა მცოდნენი არ აირჩევიან.

---

## ქალაქის საბჭოს დარბაზში.

> „მე მგონია, რომ გამგეობა თავის მოხსენებით და ახსნა-განმარტებით დიდ მზრუნველობას იჩენს ფუნიკულერისადმი".
>
> **ხმოსანი ჯაბადარი.**

ქალაქის საბჭოს საორშაფათო კრებები მართლაც არ არიან ინტერესს მოკლებულნი. ავიღოთ უკანასკნელი კრება. ამ კრებაზედაც დამარცხდა გამგეობა.

კითხვა ეხება ფუნიკულერის საზოგადოებას. ეს საზოგადოება ეკუთვნის ბელგიის უსახელო საზოგადოებას, ვინაიდან მისი აქციების სამი მეოთხედი უკანასკნელის ხელშია.

ფუნიკულერის საზოგადოებას ქალაქიდან აუღია კონცესია კოჯრის რკინის გზის გასაყვანათ. პირობის თანახმათ რკინის გზა უნდა დამთავრდეს 24 მარტს 1912 წ. გზის გაყვანის ნებართვა საზოგადოებას უნდა აეღო 1910 წ. 24 მარტამდე. ამ ვადისთვის თუ ვერ აიღებდა ნებართვას, ის ჰკარგავდა იმ ათას თუმანს, რომელიც მას ჰქონდა შეტანილი ქალაქის კასაში. ნებართვის აღებიდან ერთი თვის ვადაში მას კიდევ უნდა წარმოედგინა ორი ათასი თუმანი და თუ ვადაზე რკინის გზა გაყვანილი არ იქნება, საზოგადოება ჰკარგავს შეტანილ სამი ათას თუმანს.

ასეთია პირობა.

მაგრამ ბელგიის უსახელო საზოგადოებას რომელი პირობა შეუსრულებია ქალაქისთვის პირნათლათ, რომ ეს პირობა შეესრულებინა.

მოახლოვდა 24 მარტი, ფუნიკულერის საზოგადოება, იგულისხმე უსახელო საზოგადოება — სთხოვს ქალაქს: ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო ნებართვა არ გვაქვს აღებული; ამისათვის, გეთაყვა, ნუ დაგვაჯარიმებთ ათასი თუმანით და ნებართვის ასაღებათ ერთი წელიწადი კიდევ მომეცით.

რას შვრება გამგეობა?

მოკლეთ მისი მოხსენება შემდეგია: პირველათ ყველას ეგონა, რომ ნებართვის აღება სულ უბრალო საქმე იყო,—»Пустое дѣло", როგორც თქვა ბ. ხატისოვმა, მაგრამ თურმე ეს ძლიერ ძნელი ყოფილა. მომავალი რკინის გზა ხელ-საყრელი არ არის კაპიტალისტებისათვის და ადვილათ შესაძლებელია, ფუნიკულერის საზოგადოებამაც დაანებოს თავი იმის გაყვანას და ამჯობინოს ათასი თუმნის დაკარგვა. სხვა კონცესიონერი კი ჩვენ ახლა არ გვყავს; მაშასადამე, მოსალოდნელია, რომ ჩვენ ურკინის-გზოთ დავრჩეთ. რამდენათაც ჩვენ ვიცით, ბელგიის უსახელო საზოგადოება ამ ჟამათ ფულის კრიზისს განიცდის,— სერომ, ის ვერ შემოიტანს, პირობის თანახმათ, შემდეგ ორი ათას თუმანს. ამგვარათ, ჩვენ კი შეგვიძლია ის ათასი თუმანი ქალაქს შევმატოთ, მაგრამ ამით საზოგადოებრივი კეთილ-დღეობის მიზანი არ იქნება დაცული,—„цѣль общественнаго блага не будетъ достигнута", როგორც სთქვა ბ. ხატისოვმა.

ჩვენი აზრია, დაასკვნა გამგეობამ, ნებართვის ვადა ერთი წლით გავუდიდოთ, გზის გაყვანის ვადა 1913 წელიწადზე გადავიტანოთ, ათას თუმანს ნუ წავართმევთ, მხოლოდ მოვთხოვოთ „საზოგადოებას", რომ მან კიდევ შემოიტანოს ორი ათასი მანეთიო.

ხმოსანი ახნაზაროვი სავსებით ეთანხმება გამგეობას, მხოლოდ ერთი შესწორებით: ორი ათასი მანეთის მაგივრათ მოვთხოვოთ ხუთი ათასი მანეთიო.

ხმოსან ენფიანჯიანსაც ძლიერ მოსწონს გამგეობის აზრი, ის მხოლოდ თავისებურათ ასაბუთებს „საზოგადოების" დაუდევრობას. ის ამბობს: განა შეეძლო „საზოგადოებას" გულ-დასმით ეფიქრა რკინის გზაზე იმ დროს, როდესაც 1905—06—07—„და ცხრაას რვასაც"—გრიგალი დაჰქროდაო; რასაკვირველია, ვადა უნდა გავუდიდოთო! მოგაგონებთ, რომ ის ათასი თუმანი ჩვენ ჯიბეში კი არ ჩაიხრიალებს, არამედ—იმ ფონდში ჩაირიცხება, საიდანაც კოჯორში სანატორიუმი უნდა აშენდესო.

მოვაგონებთ ბ. ენფიანჯიანცს, რომ 1907—08-ში გრიგალი კი არა, უბრალო ნაზი სიოც სანატრელი იყო; მყუდროება სამარისებური, „არსაიდან ხმა, არსით ძახილი", რაც ენფიანჯიანცებისათვის ეგზომ სანეტარო.

მოვაგონებთ ბ. ეფიანჯიანცს, რომ ზემოთ მოხსენებული პირობა დადებული იყო... 1909 წელს. მოვაგონებთ მასვე, რომ კოჯრის მომავალი სანატორიუმი თფილისის მცხოვრებლებისთვის იქნება აშენებული, მცხოვრებლების იმ ნაწილისათვის, რომელიც განთიადიდან მეორე განთიადამდის ფაბრიკა-ზავოდებში მუშაობს, რომელიც ნესტიან და აშმორებულ სარდაფებში სცხოვრობს. სანატორიუმები, უმეტეს შემთხვევაში, მცხოვრებლების ამ ნაწილს ეპატიჟება ხოლმე თავის პერ-ქვეშ. ენფიანჯიანცები კი იქ იშვიათი სტუმრებია.

დავუბრუნდეთ ისევ საბჭოს.

მიუხედავათ იმისა, რომ ამისთანა დიდი კითხვა ირჩეოდა, ხმოსნებს „შეეკრათ კრიჭა". ალბათ, ყველა იმის ფიქრში იყო, ვის აირჩევდენ ქალაქის მამულების ჯამაგირიან შემფასებლად. ამას კი მათთვის, როგორც სახლის პატრონებისათვის, დიდი და დიდი მნიშვნელობა აქვს. ვაი თუ უცბათ „გახდეს" იმისთანა შემფასებელი, რომელიც **სინდისიერათ და ობიექტიურად** შეაფასებს მათ მამულებს მაშინ ხომ მეტი, **მამულის ღირებულობის შესაფერი**, გადასახადი შეეწერებათ ხმოსნებს და მათ ამომრჩევლებს!

აი, სწორედ ამ ფიქრებში იყვნენ გახვეულნი ხმოსნები, როდესაც ხმოსანმა ჯაბადარმა თავის არეულ და გაურკვეველ სიტყვაში ერთი კბილი მწარედ გაჰკრა გამგეობას: „მე მგონია, რომ გამგეობა თავის მოხსენებით და ახსნა-განმარტებით ამ კითხვის შესახებ დიდ მზრუნველობას იჩენს ფუნიკულერისადმიო!"

გაწითლდა გამგეობა. „ჩვენ,—უპასუხა მან ბ. ჯაბადარს,—ქალაქის ინტერესებს ვიცავთ და არა ფუნიკულერის საზოგადოებისასო; მე ხომ „საზოგადოების გამგეობის წევრი არ ვარო,"—დაუმატა ბ. ხატისოვმა.

კითხვა ის იყო გამგეობა-ენფიანჯიანცახნაზაროვი და ძმათა მისთა სასურველად უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ,— „семья не безъ урода,"—წამოდგა ხმოსანი სვეშნიკოვი და განაცხადა: ჩვენ გვესმის ფუნიკულერის ოინები; ის არ არის დაინტერესებული გზის გაყვანაში; რასაც ჰფიქრობდა, გაუცრუვდა: ახლა მისთვის ეს გზა ხელ-საყრელი აღარ არის. პირობის თავიდან ასაცილებლათ ის რაღაც ყირამალას გადადის ჩვენ წინ. სად არის გარანტია, რომ ერთი წლის შემდეგაც ის ამგვარივე თხოვნით არ შემოვა საბჭოში! ერთი თვის შემდეგ ხომ უნდა შემოეტანა მას ახლი ორი ათასი თუმანი! შემოიტანოს ეს ფული და მაშინ ჩვენ გარანტიათ სამი ათასი თუმანი გვექნება. თქვენ ამბობთ, რომ მას ფულის კრიზისი აქვსო. მე კი გეტყვით: თუ რკინის-გზის კონცესიონერს სამი ათასი თუმანი არ მოეძევება ჯიბეში, ის არ არის სანდო პირი, და მას ჩვენ ვერავითარ შეღავათს ვერ მივცემთ.

მე ვიძლევი წინადადებას: პირობის თანახმად, შემოიტანოს მან ფული და ვადაზე რკინის-გზა ჩაგვაბაროს.

დაახლოვებით ასე ლაპარაკობდა ბ. სვეშნიკოვი, და მისმა მხილებამ გამოაფხიზლა საბჭო.

ჩვენ რა,—მორბილდა გამგეობა,—ჩვენ ქალაქის ინტერესებს ვიცავთ; როგორც ქალაქისთვის სჯობდეს, ისე მოვიქცეთ, როგორც მისთვის სჯობდეს. Пустое дѣло გვეგონა, სულ „პუსტიაკი" რამ, დახე, რა ყოფილა!

საბჭომ დაადგინა: გამართოს მოლაპარაკება ფუნიკულერის საზოგადოებასთან, მხოლოდ მოლაპარაკებას განსაზღვრული, შეურყეველი მუხლი აქვს: არამც და არამც გზის გაყვანის ვადა 1912 წელს არ უნდა გადასცილდეს.

ამ კითხვის შემდეგ საბჭო გამოცოცხლდა, ახმაურდა, სიცოცხლის ნიშანწყალი დაეტყო: შემფასებლების ასარჩევათ დარბაზში მსახურმა კენჭები აახრიალა... იკა.

---

# ახალი ამბები

**ქალაქის საბჭო.** ორშაბათს, 15 მარტს, შესდგა ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა. უმთავრესი საკითხი, რომლის გარკვევას საბჭომ კარგა დრო მოახმარა, იყო ფუნიკულერის განცხადება კოჯრის რკ. გზის ნებართვის ვადის გაგრძელების შესახებ. ხელ-შეკრულობის ძალით ფუნიკულერის გამგეობას ხსენებულ რკინის გზის ნებართვა ამ წლის 24 მარტამდე უნდა წარმოედგინა და რკინის გზა კი 1912 წ. 24 მარტამდე უნდა დაემთავრებია. როგორც ვიცით, ფუნიკულერის გამგეობას 10,000 მ. გადაუცია ქალაქისათვის. და ეს ფული ქალაქის სარგებლობაში გადავიდოდა, თუ ფუნიკულერი რკინის გზის ნებართვას 24 მარტამდე არ წარმოადგენდა. ქალაქის გამგეობამ მოხსენება წარმოაგინა საბჭოში, გამგეობა 10,000 მ. გირაოს 2,000 მანეთით ადიდებს, რომელიც ფუნიკულერის გამგეობამ ვექსილის სახით უნდა წარმოადგინოს, ხოლო რკინის გზის ნებართვის წარმოდგენა 1911 წ. 24 მარტამდე მოითხოვს. ქალაქის საბჭომ მსჯელობა იქონია ამ საკითხის შესახებ და დაადგინა: მიენდოს ქალაქის გამგეობას და იურიდიულ კომისიას შესცვალოს ფუნიკულერის ხელშეკრულობა ვადის გაგრძელების და გირაოს გადიდების შესახებ და 24 მარტამდე საბჭოს წარმოუდგინოს განსახილველათ. საბჭომ დაადგინა, მიეცეს შტატ გარეშე, უსაქმოთ დარჩენილ ქალაქის მუშებს დახმარება 700 მ. უარი ეთქვას ქალაქის ყოფილ მოსამსახურის კორინთელის ქვრივს, რომელიც ქალაქიდან ყოველ-წლიურათ დახმარებას თხოულობდა.

---

## სპარსეთის მოძრაობის ისტორიიდან.

(დასასრული).

გურჯ-ყარაბაღელების შეერთებამ ბახტიარები უფრო გაამხნევა. ბახტიარების მეზარბაზნე არტილერიის გენერალი სართიბ-ხანი ზარბაზანს არ აცდენდა ღალეი სულეიმანში მყოფ შახის ჯარს, რაც ტაშის ცემას და ყიჟინს იწვევდა რევოლიუციონერებში.

კავკასიელებმა შესვენებისას წინ წაიწიეს და შეუერთდენ მოწინავე ბახტიარების რაზმს, რომელიც მტერზე სულ 700 ნაბიჯის სიშორეზე იდგა, კედელს ამოფარებული.

შეერთებისას, ბახტიარ-გურჯ-ყარაბაღელებმა უმალ გადასწყვიტეს ციხეზე იერიშის მიტანა. გასწიეს წინ და არ გაურბენიათ ორასი ნაბიჯი, რომ თავს წააწყდენ პატარა ხევში ჩასაფრებულ მტრის მოწინავე რაზმს.

გაჩაღდა ბრძოლა. კავკასიელებმა პირველათ ნახეს ბახტიარების სივაჟკაცე. ვერც ტყვიას, ვერც ზარბაზანს ვერ შეეძლო მათი შეჩერება, ყველა სროლით მიიწევდა წინ. მალე კავკასიელებმა მოიმზადეს მაუზერები (ბახტიარს მაუზერი არ უყვარს და არც არავის ჰქონდა) და ბახტიარებთან ერთათ გადავიდენ მტრის ბანაკში,—გაჩაღდა ხელ-ჩართული ბრძოლა, რომელმაც ორი საათი გასტანა, რის შემდეგაც მტერი გაიქცა ციხისაკენ. მტერმა დასტოვა ოცდა შვიდი დაჭრილ-დახოცილი, 50 თოფი და 7 ყაზახ-ბახტიარი ცოცხლათ შეიპყრეს.

რევოლიუციონერების მხრით დაიჭრა და დაიხოცა ოცდა თორმეტი.

ტყვე ბახტიარებში აღმოჩნდა ძმა ბახტიარ-რევოლიუციონერისა.

ბახტიარები როგორც რევოლიუციონერების მომხრე, შახის მომხრენიც იყვნენ.

მარცხნივ ფლანგზე სოფელ დემოვიზში იბრძოდენ ეფრემი და დანარჩენი გილანელები, რომელთაც ცუდი დღე დაადგათ და კინაღამ დამარცხდენ. ეფრემი რამდენიმე საუკეთესო დროშაკელით, შახის მომხრე ბახტიარებმა მოტყუილებით შეიპყრეს, ზოგს იარაღიც აჰყარეს და ტყვეთ უპირებდენ წაყვანას, მაგრამ მათ დროზე ამხანაგები წამოეშველენ, ხუთმეტამდე ბახტიარი დახოცეს და ტყვეები გაანთავისუფლეს, თუმცა ზოგნი უიარაღოთ.

მათ განთავისუფლების შემდეგ მარცხენა ფრთამ ძალა მოიკრიბა. მტერზე იერიში მიიტანა, რომელიც სოფ. ბადამეკში გაიქცა და ზარბაზნების სროლა დაიწყო ორივე მხრიდან. მტერმა მინდორში დასტოვა ოცამდე მოკლულ-დაჭრილი. რევოლიუციონერებს მოუკლეს ოთხი, დასჭრეს ექვსი კაცი და ოთხი ცხენი. ამავე ბრძოლაში მოკლეს ერთი საუკეთესო მებრძოლთაგანი დროშაკელი ხეჩო.

შახის საუკეთესო მთელმა ჯარმა ღალეი-სულეიმანის ციხეში მოიყარა თავი, საიდანაც განუწყვეტელი თოფ ზარბაზნის სროლა იყო, მაგრამ მათ ერთათ-ერთ ზარბაზანს შიგ ტუჩში მოარტყა ტყვია და შუაზე გაჰყო.

27 ივნისს სადამოთი ბახტიარები იერიშის მიტანას აპირებდენ ღალეი-სულეიმანის ციხეზე, მაგრამ ქართველებს საკმაო ყუმბარები არა აქვთ, ხალხი ძალზე დაღალულია და სეპეხდარიც იწერება იერიშის მიტანა არ გაბედოთო, რადგანაც მსხვერპლი დიდი იქნებაო.

სეპეხდარმაც გვირჩია ყველანი შევერთებულიყავით და შუა კაცობა გვინდეს მე და სპარსელ მამედ-ალის (ყარაბაღელია). ის იყო, გავცდით სოფელს, რომ სოფელ ბადამეკიდან, რომელიც მხოლოდ ერთი ვერსით არის დაშორებული დემოვიზზე, იქუხა მტრის ზარბაზნმა, რაზედაც რევოლიუციონერებმა უპასუხეს. მთელი სამი საათი შეუწყვეტელი ზარბაზნების სამ-მხრივი სროლა იყო. მალე რევოლიუციონერები გაიფანტენ მინდორში და სროლით, სირბილით, გაექანენ მტრისაკენ. მტერი გაიქცა და ზარბაზნებიც გაიტაცა. რევოლიუციონერებს მოუკლეს ხუთი კაცი და 10-დე ცხენი.

საღამოთი ბახტიარები შეუერთდენ ყაზვინ-რეშტელებს და გადასწყვიტეს დაეჩქარებინათ თეირანზე გალაშქრება.

ბახტიარებს ძალიან აინტერესებდათ ყუმბარა, რომლისაც ძალიანი ეშინოდათ, და სთხოვეს ქართველებს გაეცნოთ ყუმბარის ძალა მათთვის, რომელთაც არ დაახანეს და მეგობარ ბახტიარებს სურვილი აუსრულეს. მანქანის (აპარატის) საშუალებით ცხრა გირვანქიანი ყუმბარა ააფეთქეს კედელში და ორი საჟენის სიმაღლე კედელი მტვრათ აქცია. ბახტიარები დიდ აღტაცებაში მოიყვანა ყუმბარამ. „ოღონ თქვენ თეირანის კედელი აგვიფეთქეთ, რომ ქალაქში შესვლა შეგვეძლოს და მერე ნახეთ რა დღეს დავაყრით ქაჩლებსაო (ქაჩლებს სარბაზებს ეძახდენ ისინი).

ამავე საღამოთი რაზმს სურს ღალეი-სულეიმანის ციხე ააფეთქოს. სამ-მხრივ ცხენოსან ჯარს ზალპები უნდა ესროლათ, რომ ცეცხლს ქვეშ მიჰპაროდენ ქართველები ციხეს და აეფეთქებინათ. ამ უაზრო გადაწყვეტილებამ გურჯები განუყრელი ყარაბაღელებით შეაფიქრიანა. დასთანხმდენ ციხეზე მისვლას მხოლოდ ყარაბაღელებთან ერთათ, სამაგიეროთ, მოითხოვეს საჩქაროთ ცხენები, გადასწყვიტეს ბახტიარებთან ერთათ, სადაც უნდა ყოფილიყო მისულიყვნენ, ეფრემი კი მათ აფრთხილებდა არ ენდობოდენ ბახტიარებს, მაგრამ ძუიზამ-სულთანის პასუხზე „ბუსაათ" (ამ საათში) და თეირანის გზით ს. დემოვიზისაკენ წამოვიდენ, რადგანაც ყველამ კარგათ იცოდა, რომ მუიზამ-სულთანის „ბუ საათს"—ბოლო არა დროსარა ჰქონია.

როდესაც ბელადი ხანები დარწმუნდენ, მაშინ კი იკადრეს კუების გამოდევნება, რომლებიც ბოდიშის მოხდით და „ყურბან ოლუმის" ძალით ევედრებოდენ უკან დაბრუნდითო, მაგრამ ყარაბაღელები დაჟინებით უპასუხებდენ: „გასწით ააფეთქეთ, რაც ღალეი-სულეიმანის ციხეო!

სოფელ დემოვიზში მათ წინ შეეგებათ ბახტიარებიდან მომავალი სეპეხდარი და მუიზამ-სულთანი, რომლებმაც, რა გაიგეს მათი დაბრუნების მიზეზი, ბევრი ემუდარენ უკან დაბრუნებულიყვენ, მაგრამ ამაოდ—და როდესაც სხვანაირ ვერას გახდენ, თვით სეპეხდარმა მიმართა მათ: შვილებო! თქვენი გმირობა, თქვენი ამაგი დაუვიწყარია ირანისათვის. განა თქვენი სულგრძელობისა თქვენ არა გრცხვენიათ? ეხლა, რომ დაგვტოვოთ, ეგ ხომ ღალატი იქნება? თქვენთვის ეხლა ღალატი ხომ თქვენ დახოცილ გმირს ამხანაგებსაც-კი ააშფოთებს ცივ-სამარეში! დაბრუნდით! ყველაფერი უმალ იქნება აღსრულებული"...

თარჯიმანი კარგი მცოდნე იყო რუსულ-ფარსული ენებისა და სეპეხდარის ზემოხსენებულ სიტყვებს ისეთი შნო და აზრი მისცა, რომ გადმოთარგმნისას ყველა გაჩუმდა, ხმა არავის ურდა ამოეღო და კიდევ უნდოდათ გამეორებინათ. ბევრს ცრემლები მოერია თვალებში და მზათ იყო თვით ქარ-ცეცხლში შევარდნილიყო.

სეპეხდარმა უბრძანა მუიზამ-სულთანს ეშოვა ცხენები გურჯ-ყარაბაღელებისათვის. მუიზამ-სულთანმა ისინი ბახტიარებთან მიიწვია და თვითონ ვითომ ცხენების საშოვნელათ სადღაც მიიმალა, მაგრამ აქაც მოტყუილებამ იჩინა თავი.

ბევრი ელოდენ ცხენებს, მაგრამ ამაოდ. ბახტიარებმა რამდენიმე ცხენი დაუთმეს მათ და თორმეტ საათზე გასწიეს ს. ბადამეკისაკენ, სადაც შეუერთდენ სეპეხდარის ჯარს და თეირანისკენ გაეშურენ.

უცხენოთ დარჩენილმა გურჯ-ყარაბაღელებმა ჩამოყარეს გილანელები ცხენებიდან და სხვებთან ერთათ გასწიეს წინ.

რევოლიუციონერების შეერთებული რაზმი ხუთი ათას კაცს აღემატებოდა, რომელიც ნელა გაჰყვა მინდორ-ბილიკით თეირანის ვაკეს, ასცდა ყველა იმ სოფელს, სადაც შახის ჯარი იმყოფებოდა. გათენებისას გადაუხვია მარცხნივ რუსეთის მიერ გაკეთებულ საფოსტო გზას და როდესაც სოფ. აბადს ჩაუარა, იქ მყოფი ჩასაფრებული ყაჩაღები მთებში გაიქცენ. მამაცმა ბახტიარებმა მათ შესაშინებლათ მხოლოდ ჰაერში დასცალეს თოფები და ყიჟინით გაასცილეს სოფელს ყაზახები.

რაზმი 5—6 ვერსზე გაფანტული ნელა მიიწევდა წინ. იქნებოდა დილის რვა საათი, როდესაც წინა პირმა რაზმისამ თეირანის გორაკიდან თავზედ გადმოჰხედა ამწვანებულ თეირანს.

რაზმი მოურიდებლათ მიუახლოვდა ბეჩეთ-აბადის ალაყაფის ქალაქში შესავალ კარებს, რომელიც ღია დახვდა მას. თუმცა კარებში სამოცამდე კარგათ შეიარაღებული შახის მომხრე ბახტიარი იდგა ერთი ზარბაზნით, მაგრამ რაზმის დანახვაზე ისე აირიენ, რომ ვერც-კი მოასწრეს ლიახოვისათვის ეცნობებინათ რევოლიუციონერების ქალაქში შესვლა. სროლა-კი მათ მხრივ ყოვლათ უსარგებ-

◆ **სახალხო უნივერსიტეტი.** ორშაბათს, 15 მარტს, შესდგა სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წევრთა კრება გამგეობა შეუდგა ლექტორთა შორის 17 ლექციის განაწილებას, რომელთაც ივნისის დამლევამდე წაიკითხავენ სახ. უნივერსიტეტის სასარგებლოთ. მიენდო პ. სობოლევსკის წაიკითხოს თავის ლექციის გაგრძელება „კონგოზე“ დიდმარხვის მეორე კვირაში. გამართონ ახლო მომავალში „ჩეხოვის დილა“. სახ. უნივერსიტეტის გამგეობის წევრი ბ-ნი არაქელიანი ახლო მომავალში წაიკითხავს საინტერესო ლექციას „კავკასიის დაპყრობაზე“ (შახ-აბაზის ხელთნაწერები კავკასიის დაპყრობის შესახებ) სხვათა შორის გამგეობამ ისიც დაადგინა, იშუამდგომლოს ქალაქის გამგეობის წინაშე, რათა მან ნება დართოს მას ისარგებლოს სახალხო სახლით დაუბრკოლებლათ.

◆ **ქალაქის სკოლებში.** ქალაქის სასკოლო კომისიას დაუდგენია მოაკლონ თავის ჯამაგირის მეოთხედი იმ მასწავლებელს, რომელთაც დიდ-მარხვის პირველ კვირაში სწავლა შეუწყვეტიათ მიუხედავათ იმისა, რომ სასკოლო კომისიის დადგენილებით ბავშვები მარხვის ბოლო კვირაში უნდა დაეთხოვათ საზიარებლათ.

◆ **ქსენონი სამტრედიაში.** სამტრედიის მცხოვრებთ გადაუწყვეტიათ დაიარსონ საზოგადო ქსენონი. ქსენონის წესდება და ხარჯთ აღრიცხვა უკვე შედგენილია და მალე გუბერნატორს წარუდგენენ დასამტკიცებლათ.

◆ **შემფასებელი კომისიის არჩევა.** ორშაბათს, 15 მარტს, მოხდა ქალაქის შემფასებელი კომისიის წევრთა არჩევნები, უმეტესი ხმით არჩეულ იქნენ: ვ. ი. ორცხილაძე და ლ. ტიგრანოვი. ხმოსანმა ნ. ქართველიშვილმა შედარებით ცოტა ხმა მიიღო. მესამე წევრის არჩევა მოხდება ორშაბათს, 22 მარტს.

◆ **უვარგისი ზეთი.** ამ დღეებში ოდესიდან თფილისში გასასყიდათ ჩამოუტანიათ საჭმლის ზეთი, რომლის სიკარგეში ეჭვი შეიტანეს სანიტარული კომისიის წევრებმა და შესამოწმებლათ ქიმიურ ლაბორატორიაში გაგზავნეს. ქიმიკოსის აზრით ზეთი მომზადებულია ნავთისაგან და შეფერადებულია კუპრით. ზეთის გავრცელების წინააღმდეგ ზომები მიღებული.

◆ **მღვდლების წაჩხუბება.** 14 მარტს სომეხთა ვანქის ტაძარში შემდეგი ამბავი მოხდა. წირვაზე დამსწრე დიდძალ საზოგადოების წინაშე, იმ დროს, როცა ამ ეკლესიის მღვდელი ხ. ხუციანცი ხალხისაკენ წამოვიდა, რათა დღის შესაფერი სიტყვა ეთქვა, მას წინ გადაეღობა უფროსი მღვდელი ე. ერზიკიანცი, რათა სიტყვის თქმა არ დაენებებია მისთვის და რამდენიმე მუჯლუგუნიც წაკრა. ხალხი ძლიერ აღაშფოთა ამ ამბავმა. როგორც ამ საქმის დაახლოვებით მცოდნე პირმა გადმოგვცა, მღვდლებს ურთიერთ შორის მტრობა ქონიათ და ამას გამოუწვევია ეს ამბავიც.

◆ **ექიმის თავხედობა.** 15 მარტს, საღამოთი, ქუთაისის მცხოვრებმა კოსტა ემჩინმევმა პოლიციას განუცხადა: 14 მარტს კიროჩნი ქუჩაზე მცხოვრებს, ექიმი, გ. თ. დობრჟინსკის ვთხოვე წამოსულიყო და ენახა ჩემი ავათმყოფი დედა. ექიმი დამპირდა, მეორე დღეს მივედი, მე ვთხოვდი მაშინვე წამოსულიყო, რადგან დედა ძლიერ ავათ იყო. ექიმმა მითხრა საღამოს 8 საათზე მოვალო. მე ექიმს განვუცხადე, თქვენ ვალდებული ხართ ავათმყოფი ეხლავე ინახულოთ. მაშინ ექიმა რევოლვერი იძრო და შემომიყვირა: „მომშორდით თორემ... მეც შემეშინდა, სახლისკენ გამოვეშურე, რათა სხვა ექიმი მომეწვია ავათმყოფი დედისთვის.

◆ **ცეცხლისაგან დასარალებულნი.** კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწემ ნება დართო ცეცხლისაგან დაზარალებულ სურამელთა სასარგებლოთ შემოწირულებათა შემკრებ კომიტეტს, შემოწირულ დახარჯულზე გადარჩენილი ფულათ გადაეცეს ცეცხლისაგან დაზარალებულთ.

◆ **ქალაქის სესხის განაღდება.** ორშაბათს, 15 მარტს, შესდგა ქალაქის გამგეობისა და საფინანსო კომისიის წევრთა შეერთებული კრება, რომელმაც გაარჩია სხვა და სხვა კაპიტალისტთა პირობები ქალაქის 3½ მილიონ მან. სესხის განაღდების შესახებ. ქალაქისათვის ხელ-საყრელი პირობა წარმოადგინა ბელგიელ კაპიტალისტმა ფლატემ, რომელიც 100 მანეთს 87 მ. 50 კ. ანაღდებს: ქალაქის მიერ ეს პირობა მიღებულ იქმნა, ხელ-შეკრულობა დადგინდა. ფლატემ გირაოთ 100,000 მ. წარადგინა.

◆ **ავიატორი ეფიმოვი.** თფილისში მოელიან ავიატორ ეფიმოვს, რომელიც აქ, საჯირითო მოედანზე, ჰაეროპლანით აფრინდება.

◆ **წყლის საყვანი ახალშენში.** ქალაქის გამგეობამ 1500 მ. გადასდო წყლის საყვანის დასაარსებლათ ახალშენში. ახალშენელები თავის მხრივ ამ საქმისათვის 4,000 მ. ხარჯავენ.

◆ **საზოგადო კრება.** დღეს, 17 მარტს, დანიშნულია კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება.

**ოზურგეთი.** თერთმეტ მარტს, დილით ოზურგეთში ჩამოვიდა ქუთაისის გუბერნატორი სლავოჩინსკი. გუბერნატორს თან ახლავს მისი საგანგებო მოხელე ბ. გაპყრელიძე. ბ. სლავოჩინსკიმ ოზურგეთში დაჰყო მხოლოდ ორი დღე, 13 მარტს ის გაემგზავრა დაბა ჩოხატაურისაკენ.

— ამავე დღეს საღამოს, აქ მოვიდა გურია სამეგრელოს ეპისკოპოზი ლეონიდე. ის ამ ჟამათ გურიაში სამრევლო სკოლების რევიზიას ახდენს.

— როგორც გავიგეთ, ადგილობრივი სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი გორგასლიძე რომელიც ამას წინათ დ. აკშტარაში იყო გადაყვანილი, ისევ ოზურგეთში თავის ადგილას დაუტოვებიათ.

— ამ დღეებში აქ ჩამოვიდა ასეული კაზაკი ადგილობრივი ადმინასტრაციის დასახმარებლად.

## სამგლოვიარო წერილები.

ვგლოვ ძვირფას ამხანაგს გრ. კალანდაძეს. ემელიანე ლომთათიძე.

— ვსტირი დაუვიწყარ მეგობრის გრ. კალანდაძის უდროოთ დაკარგვას. ქრისტეფორე გურგენიძე.

— გული დაგვწყვიტა ამხ. ს. მურვანიძის უდროოთ დაკარგვამ. ლეხაურელ ამხანაგების მონდობილობით ს. სურგულაძე.

— გამოუთქმელია ჩვენი მწუხარება ჯერ კიდევ სიცოცხლით სავსე ამხანაგ გრიგოლ კალანდაძის უდროვოთ დაკარგვის გამო. კირილე, იასონ, გერასიმე, გლასა, ონისიმე, რაჟდენ, ისიდორე, ლევანი, გასო, სიმონ, მელიტონ, გიგო, თეოფილე, ლაზარე, დიომიდე, კოლია და სევერიან.

— გული დამწყვიტა ძვირფას მეგობრის გრიგოლ კალანდაძის უდროვოთ დაკარგვამ. ჭერკულესი, ვლ. თოიძე.

— ჩვენ, ქართველ პოლიტიკური გადმოსახლებულები, რომლებიც ვიმყოფებით ენისეის გუბერნიაში, ღრმა მწუხარებით დავსტირით სევასტი მურვანიძის უდროვოთ დაკარგვას, რომლის ხსოვნა წაუშლელი იქნება ჩვენს ცხოვრებაში.

ამხ. მონდობილობით მოსე ტუღუში.

ქ. ენისეისკი.

## ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს.

(პასუხი ბ. სტ. ქრელაშვილს).

ქურდმა მამალი მოიპარა, გამოიხვია კალთაში და გაიქცა. კალთაში მამალი ვერ მოთავსდა. ასე რომ, ბოლო გარეთ დარჩა. პატრონი დაედევნა მომპარავს, დაეწია და უთხრა: კაცო, ჩემი მამალი რათ მოიპარე, მოიტა ახლავეო. ქურდი ეუბნება: არა, ღმერთმანი, მე შენი მამალი არ მომიპარავსო. ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო. უთხრა პატრონმა.

სწორეთ ბ-ნი ქრელაშვილიც ეგრე ფიცავს—არა, ღმერთმანიო.

მაგრამ ბ. ქრელაშვილის კალთაში არამც თუ კუდი უჩანს მამალს, ეს მამალი კიდევაც ყვირის.

აი როგორ: გასულ თებერვალში ჟურნალისტთა საზოგადოების კრებები გაიმართა მირზოევ-ბატაილ-ყიფიან-ნაგურსკის საქმის გასარჩევათ „პრესის სინდიკატის“ თაობაზე.

პირველ კრებაზევე საზოგადოების ერთმა წევრმა სთქვა: ჩვენ საბუთები გვაქვს რომ ამ საქმეში სტ. ქრელაშვილი სრული მონაწილეაო. მეორე კრებაზედაც მეორე წევრმა დასვა კითხვა: რა გარჩევაა მირზოევსა და ქრელაშვილს შორის ამ საქმეშიო. მან თქვა: უსათუოთ საჭიროა ამ საქმის გამოსარკვევათ გადავავლოთ თვალი იმ პერიოდს, როდესაც თფილისის ტრამვაის სამმართველოში გადადიან სამოღვაწეოთ ინჟინერი ალიბეგოვი დირექტორათ, საბჭოს ხმოსანი ქრელაშვილი სეკრეტრათ.

სხვათა შორის, ხმოსანი მირზოევი, რომლის „15 წლის მეგობარია“ ბ. ქრელაშვილი, აწესებს „პრესის სინდიკტს“ ბელგიელების საქომაგოთ და კიდევაც რეალურ სამსახურს უწევს მას, რასაკვირველია, ქალაქის საზარალოთ. ბოლოს ორატორი სვამს კითხვას: რა მიზეზია, რომ ამ საქმეში ბ. ქრელაშვილს ხელს აფარებენ, რომელსაც არ შეეძლო არ სცოდნოდა მირზოევის პლანი და მიზანი, როგორც ქალაქის თვითმართველობა, ისე პრესაცო და მაგალითიც მოყავს, როგორ ამოშალა ის თავად ამირაჯიბმა ოსტოვსკის სტატიიდან 4 ხმოსნების რიცხვიდან.

ბ. ქრელაშვილი ბრძანებს, ეს ყველაფერი «საზიზღარი ცილისწამებააო» და როგორც ჟურნალისტები ისე სხვა გარეშე მაყურებლები უმართლოთ აჯილდოვებენ ორატორს „ხანგრძლივი ტაშის ცემითო“.

მოვნახოთ მამლის ბოლო და გავიგონოთ მისი კრიახი.

პირველი. უსახელო საზოგადოების უკან თამაში სწორეთ იმ დროიდან იწყება როდესაც ბატ. ქრელაშვილი მისი სეკრეტარი ხდება. და კიდევაც გამარჯვებით გვირგვინდება მის სეკრეტრობის დროშივე.

მეორე. «იერი» ბ. ქრელაშვილისა მდგომარეობდა იმაში, რომ ის ადგილობრივ გამოცდილი კაცი იყო და ქალაქის საბჭოს ოც წელიწადზე მეტი სეკრეტრათ ნამყოფი, რომელმაც ყველაზე უკეთ იცოდა ქალაქის თვითმართველობის, განსაკუთრებით ჩვენი გამგეობის მოქმედებანი და სუსტი მხარეები, ყველა შესავალ და გასავალ კარებს ზედ მიწევნით იცნობდა. აგრეთვე მას იცნობდენ, როგორც „თავ-აუღებლივ მშრომელს“ და იმდენათ პატიოსანს, რომ, თუ ურიი, პურს სჭამდა, ურიისთვის ხმალს მოიქნევდა“. „იერიანს“ სხვას ვისს იშოვნიდენ.

მესამე. სეკრეტარის თანამდებობა ჩვენ ძალიან კარგათ გვესმის. ეს ნიშნავს მოტორს, ლოკომოტივს მთელი მოძრაობისას. და ამიტომ გვეძლევა სრული საფუძველი ვიცნოთ ბ. ქრელაშვილი მთელი მისი სეკრეტრობის პერიოდში თფილისის ტრამვაის ერთ უმთავრეს ორგანიზატორად ჭ ხელმძღვანელათ. და ბატაილმაც საქვეყნოთ გამოაცხადა, რომ ბელგნელები ტყუილად ერთ ფრანკსაც არავის მისცემენ, ერთ ბაკალ ღვინოსაც არავის დაალევინებენო.

მეოთხე. რომ ბ. ქრელაშვილმა პატიოსნათ შეასრულა თავისუფალი რეჟისორობა და ბელგიელები იმაში არ მოსტყუვდენ, ამას ყველაზე უცხადესათ გვიმტკიცებს მთაწმინდის ფუნიკულიორი. ბელგიელებმა ბ. ქრელაშვილი ჯამაგირის მომატებით დააჯილდოვა და აამაღლა ამ სიტყვის პირდაპირი შინაარსის მიხედვითაც კი. ბ. ქრელაშვილი წამოასკუპეს მთაწმინდის მწვერვალზე და დაარქვეს ფუნიკულიორის დირექტორი.

მეხუთე. რომ ბ. ქრელაშვილის ფუნიკულიორის დირექტორობა სინეკურაა, ეს ყველასათვის ცხადია. ყველამ იცის, რომ ბ. ქრ ინჟინერ-ტეხნოლოგი არ ბრძანდება, მხოლოდ ბ. ხატისოვის მოწმობით უებარი „პროტოკოლისტია“.

მეექვსე. რომ ბ. ქრ. „უსადსრობით დარჩომილი“ არ იყო, ეს ყველამ იქიდან იცის, რომ ის ყოველ თვეში იღებს პენსიათ ქალაქის კასიდან ას ორმოცდაათ მანეთს. და რომ ჩვენში იშვიათი ბედნიერებაა, როცა კაცს მთელი ოცდახუთი წლის განმავლობაში ორას თუმნიანი ადგილი აქვს და მერეც თავის სიცოცხლეში ხუთმეტი თუმანი თვეში პენსიათ ეძლევა.

მეშვიდე. რომ „პრესის სინდიკატის“ შედგენაში ბ. ქრ. მონაწილე იყო, ეს ჯერ თვით ქრელაშვილის სიტყვებით მტკიცდება. „ბ-ნ მირზოევისა და ჩემ მეგობრობას მთელი 15 წლის ისტორია აქვს ერთათ მოღვაწეობისა თვითმართველობის ასპარეზზე“. დიახაც უბრალო ამბავი არ გახლავსთ, რომ ორი გუ-

ლობა იქნება, რადგანაც ცოცხალი ვერავინ დააღწევდა თავს.

რაზმი შევიდა ქალაქში (ტყუილია სხვა და სხვა გაზეთების ცნობები, ვითომ რევოლიუციონერები სხვა და სხვა მხრიდან შესულიყვენ ქალაქში. ყველა ბეჰეთაბადის კარიდან შევიდა).

წინა რიგი რაზმისა გაეშურა განადგურებულ მეჯლისისაკენ. აქ ბელადებს დიდი შეცდომა მოუვიდათ, რომ უკან ჩამორჩენილებს არ მოუცადეს, რომლებიც ჯგუფ-ჯგუფათ შემოდიოდენ და გზების უცოდინარობის გამო მტრის ცეცხლში ეხვეოდენ.

პოლკოვნიკ ლიახოვს შახის ჯარი კარგათ დაენაწილებია. ყაზვინის შესავალს, თეირანის ფოსტის გზით, კარებში საიდანაც რევოლიუციონერებს ელოდა 400—500 ყაზახ-ბახტიარი იდგა. დანარჩენ კარებში 60—100-დე. შუა ქალაქის ყველა მთავარ ქუჩებში, სადაც-კი რეაქციონერების სახლები იყო, ბანები სავსე იყო მტრის ჯარით და გზა-აბნეულ რევოლიუციონერებს უმასპინძლებოდენ.

მეჯლისში მისული რაზმი სამათ გაიყო: ბახტიარები, როგორც „ყოფნა არ ყოფნის“ გადამწყვეტნი მოედვენ მთელ ქალაქში უფრო საფრთხილო ალაგებს. გილანელები მეჯლისის ეზოში დარჩენ და იქვე გალავანში გამაგრდენ. ეფრემმა თავის რაზმით იჭერს შუა გულ კუთხეს ალა-ედ-დოულეს ქუჩისა, ინგლისის და ოსმალეთის საკონსულოეას შუა ალაგას რადგანაც მას ეშინია ღალატისა ან სომხების, „პოგრომისა“. თეირანის სომხობა შეხიზნულია ინგლისის საკონსულოში.

ალა-ედ-დოვლეს ქუჩის სათავეში შესვლიდანვე იბრძვიან ქართველი და მონათლული ურია, რომლებიც ზარბაზნის სროლასაც კი უმაგრდებიან და იერიში მიმტან სარბაზებს უკუ აქცევენ.

ყველა ქუჩებში ბრძოლა თითქმის ერთსა და იმავე დროს დაიწყო. ზარბაზნების ქუხილი, თოფ-მაუზერის სროლა, ხალხის ჟრიამული, ყველაფერი ერთმანეთში ირევა. ეფრემი და გილანელები მტერს მარტო სროლაზე უპასუხებენ... თეირანში მარტო ბახტიარები იბრძვიან.

მეტი წილი გურჯ-ყარაბაღელებისა, რომლებიც ცხენების ძებნაში, უკან ჩამორჩენ რაზმს, ჯერ არსად სჩანს, მათ თურმე გზაში ყაზახები დაეცენ, მაგრამ მათ ყაზახები გააქციეს.

ყუმბარის გრიალი არსაიდან არ მოისმის. სროლას ყური შეეჩვია. ცა მოქუშულია, თითქოს რაღაც საშინელებას მოელისო.

თეირანი იბრძვის. თეირანის ქუჩები სავსეა დაჭრილ-დახოცილებით.

1 ივლისს, თუმცა ზარბაზნების სროლა განუწყვეტელია, ყუმბარის გრიალი კიდევ არსაიდან ისმის, მხოლოდ თეირანი კარგად გრძნობს, რომ გურჯები უახლოვდებიან ქალაქს და ყუმბარის გრიალი მოწამეა მათი ქალაქში შემოსვლისა...

თენდება... მოისმის ქუხილი. გავარდა ერთი... ხუთი... კიდევ და კიდევ. მედგარი ბახტიარები ყუმბარის გრიალით გონება აბნეულ მტრის ჯარში, ყიჟინით, დამკლავებულნი ხელ და ხელ გადაერიენ.

ბახტიარებმა მტერს წაართვეს ორი საუკეთესო ახალი სისტემის ზარბაზანი, რომლებიც შახის ჯარის იმედს შეადგენდა, და სროლით ყაზახთა ბრიგადის ყაზარმებისაკენ მიიწევენ. კიდევ გავარდა ყუმბარა, რომლის გრიალითაც გარშემო მტერს შემორტყმულ თვით ქართველ-ყარაბაღელების ხელმძღვანელს ატყობინებენ გამარჯვებას და ხსნას.

ბახტიარების სივაჟკაცით ყველას გული მიეცათ, მათ გვერდში ამოდგომიან ოთხი-ხუთი გურჯი და თავდავიწყებით ყველა მხარეს ყუმბარებს ისვრიან. ყველას გიჟივით დაუჭყეტია თვალები და წინ მიიწევს. არავინ არ ერიდება არც ტყვიას, არც ზარბაზანს და არც არავითარ ძალას.

მთელი დღე სროლაა. თეირანის ქუჩები სისხლით არის მორწყული და შეღებილი.

ეს პირველი ივლისი გადამწყვეტია გამარჯვება დამარცხებისა.

ვიღაც ტელეფონით ატყობინებს ინგლისის კონსულს „ქართველები ქალაქს ყუმბრებს ესვრიან, გთხოვთ მიიღოთ ზომები რომ შესწყვიტონ სროლა და დაიცოთ უცხოელთა ინტერესები“.

ინგლისის და ავსტრიის კონსულები მართლა ჩაერიენ საქმეში. უცხოელებს წინადადება მისცეს ვისაც ეშინოდა საკონსულოში ჩამსხდარიყვენ. ცალკე შახის ჯარს გამოუცხადა კონსულმა თოფი არ გაესროლათ ინგლისის საკონსულოსაკენ, უკანასკნელ შემთხვევაში იძულებული გახდებოდა რაიმე ზომები მიეღო მის წინააღმდეგ.

ბახტიარები თავისას განაგრძობენ. განიერი ჩაშვებული შარვლები ქამრებში აუკრავთ. ჭუჭყიანი პერანგები დაუმკლავებიათ და უკანასკნელათ ყუმბარის გრიალში „ოოოოო“ ძახილით კიდევ გადაერიენ მტრის ჯარში და კიდევ გაიმარჯვეს.

ჯარის უფროსის ბრძანებით, ალა-ედ-დოვლეს ქუჩის სათავეში ჩასაფრებულ ორ გურჯს ხუთჯერ კიდევ ესროლეს ზარბაზანი, მაგრამ ამაოთ. ისინი თავისას განაგრძობდენ და მესამე დღეს ბრძოლისა, როდესაც პატრონები შემოელიათ Русское Слово-ს კორესპონდენტის კრინსკის დახმარებით თავს უშველოს და ამხანაგებს შეუერთდენ...

შუა დღის ორ საათზედ ხმა გავრცელდა შახი გაიქცა რუსის საკონსულოშიო. ეხლა კი აშკარა იყო რევოლიუციონერების გამარჯვება. სროლამაც იკლო და ჯარის უფროსი იწერება: გნებდებით, ჩემს ყაზახებს ხელს ნუ ახლებთო.

რა თქმა უნდა, როდესაც შახი გაიქცა და ლიახოვიც დანებდა რევოლიუციონერებს, დანარჩენ, შახის ჯარსაც მეტი გზა არ ჰქონდა იარაღი უნდა დაეყარა—და ასეც მოხდა. სროლა სრულიად მიწყნარდა.

რევოლიუციონერები თავისუფლათ დასეირნობენ რეაქციონერების უბნებში. მეჯლისის ეზოში მუზიკა უკრავს მარსელიოზას. რაზმელები ერთმანეთს ეხვევიან და გამარჯვებას უსურვებენ...

„გაუმარჯოს ხალხს, გაუმარჯოს კავკასიელთ გაუმარჯოს ბახტიარებს“... მოისმის ირგვლივ ხმა... ეხლა დაბოლოვებისას გულ-ახდილათ შეგვიძლია ვსთქვათ ვინ აიღო თეირანი.

გილანელებმა 200-ს კაცში სულ ას კაცს არ უბრძოლია როგორც შეეფერებოდა რევოლიუციონერს, ეფრემს წინათვე დაჭერილი ალაგიდან ერთი ფეხიც არ წაუდგავს წინ, რადგანაც როგორც ზევით ვსთქვით, დამარცხებისა ეშინოდა. თუ რაიმე შეტაკება მოხდა ალა-ედ-დოვლეს ქუჩაში აქ საპასუხო როლს გურჯ-ყარაბაღელები ასრულებდენ და ბახტიარებთან ერთათ იბრძოდენ. ქუჩის სათავეში მდგომი სარბაზები, როგორც ამას მოწმობენ თვით პოლკოვნიკი ლიახოვი, პოდპოლკოვნიკი აბდულახანი, რამდენიმე სხვა აფიცერი, „Русское Слово-ს კორესპონდენტი კრინსკი და მრავალი ამ ქუჩაზე მცხოვრებლები, ორმა ქართველმა აიძულა წინ არ წამოსულიყვენ და ისინიც „თოფ-ხანის“ ეზოდან ტყუილათ ისროდენ და ვერც სხვა იპოვეს, რომ რევოლიუციონერებისთვის მოევლოთ საიდანმე და დაეხოცათ.

თუ თეირანი სამი დღე განუწყვეტლივ იბრძოდა და ხალხმა გაიმარჯვა, ეს მოხდა გმირი ბახტიარების მეოხებით და არა გილანელ-დროშაკელ-ქართველებისა. თუმცა ქართველთა ჯგუფი ისეთი მცირე იყო და უმნიშვნელო ძალით, სხვებთან შედარებით, რომ თუ ყუმბარების საშვალებით და ორ-დღე ნახევარი არ ებრძოლათ ალა-ედ-დოვლეს ქუჩაში და ამით უნარი არ გამოეჩინათ და სახელი არ მოეპოვებინათ, არაფერი მნიშვნელობა არ ექნებოდათ მათ.

თეირანი აიღეს ბახტიარებმა, რომელთა რიცხვი 2500 კაცს აღემატებოდა და დარწმუნებული უნდა ვიყვეთ, რომ ბახტიარები თუ არა, რეშტ-ყაზვინელები ვერ გაბედავდენ თეირანზე წასვლას და თუ გაბედავდენ, ლიახოვის ჯარი ან ყველას გაჟლეტდა, ან ცოცხლად შეიპყრობდა და სპარსეთის რევოლიუციას დროებით „ბოლო მოეღებოდა“....

5 ივლისს თეირანი, ყმაწვილს, ჯერ ისევ ბავშვს—ახმედ-მირზას ლოცავს კონსტიტუციონურ შახათ. ხალხის სიხარულს საზღვარი არა აქვს.

ბახტიარების ბელად სარდარ-ასადს ირჩევენ შინაგან საქმეთა მინისტრათ, სეპეხდარს სამხედრო (თუმცა სამხედრო მინისტრობა პირველს უფრო ეკუთვნის), დაშნაკცაკან ეფრემს პოლიცმეისტერათ, რომელიც ვითომ მხოლოდ დიდ ხვეწნამუდარის შემდეგ დასთანხმდა. რამდენიმე ქართველს წინადადებას აძლევენ რომ დარჩენ ყაზახთა ბრიგადაში აფიცრებათ, მაგრამ არავინ დასთანხმდა...

ამით დამთავრდა სპარსეთის რევოლიცია (თუ კი ამას რევოლიუციას დავუძახებთ!). ხალხმა, ანუ უფრო რამდენიმე მდიდარმა ხანმა, გაიმარჯვეს: თავიანთ წრიდანვე ამოირჩიეს დანარჩენი მინისტრები და საჭირო მოხელეები და ვითომ ხალხიც პარლამენტის გახსნის მზადებას შეუდგა...

გურჯი სურგო.

ლიბერალი მეგობარი „15 წელს ერთად მოღვაწეობდენ“, ორი მეგობარი 15 წ. 15 ფუთ მარილს შეჭამენ. ძალიან იშვიათი რამ(ე)ბია, რომ იმათ შორის რაიმე საიდუმლოებაა იყოს, ნამეტურ რაღაც „პრესის სინდიკატი“. აქაც ეს ორი მეგობარი ერთად აგრძობენ თავის „მოღვაწეობას“. აქ მხოლოდ „ასპარეზი“ იცვლება და ისინი „თვითმართველობის“ მაგიერ ბელგიის საზოგადოების „ასპარეზზე“ „მოღვაწეობენ“. და თუ ბ. ქრ. ამ «15 წლის» განმავლობაში თფილქალაქს არ გაშორებია, წარსულ ზაფხულს ამ ახალი «მოღვაწეობას» გამო ბრიუსელშიაც კი ბძანდებოდა, რასაკვირველია, თავის განუყრელ მეგობარ სერგოსთან ერთად და იქიდან კარგი ამბავიც მოიტანა—„სინდიკატის საქმე ძალიან კარგათ მიდისო“. ამ ამბავსაც ხომ თვითონ ბ. ქრ. გვეუბნება თავისი პირით.

**ნესტორ ცერცვაძე.**

(დასასრული იქნება)

### კიდევ „მარცვალს“.

გაზეთმა „მარცვალ“-მა ლერას მაგიერ ლასანიძე გამოახტუნა „ვიღაც ღლღლ“ *) სალანძღავად. ეს ვაჟბატონი წერილს განცხადებით ათავებს,—მეტს პასუხს არ გაგცემთო. ვეკითხები რედაქციას: განა როდისმე უპასუხეთ ჩემგან წამოყენებულ ბრალდებებზე? განა რომელიმე წერილი ლანძღვის მეტს რაიმეს შეიცავდა? წაიკითხეთ.

საპასუხო თითონ ჩვენ აღარაფერი დაგვრჩა: ჩვენგან წამოყენებული ბრალდებები დამტკიცებულათ ითვლება, მას უარს ვერ ჰყოფს „მარცვალი“-ც და მიიტომაც ლანძღვის მეტი ვეღარა მოუხერხებია-რა. ლანძღვაზე კი პასუხი ზედმეტია,—დეე წერონ გაზეთი მათი საკუთრებაა, სტანოკი მათგანაა ნაქირავები. მე თუ მაინც ავიღე კალამი ხელში, ეს იმიტომ, რომ ამ მეორე მეცნიერმა „ფილოსოფიურ“ ლანძღვას „ფილოსოფიური“ ჭორიც მიაყოლა. ბ. ლასანიძე სწერს: „ჩვენი გაზეთის გაჩენისათანავე „სადაც ჯერ არს“ რაღაც არა ჩვეულებრივი (!) ხდება და სხვა რომ ვეღარა გააწყეს რა, ყოვლად უსირცხვილოდ პირდაპირ პროვოკაციას ეწევიან ქართველი მუშების წინაშე და აფრთხილებენ მათ: ერიდეთ „მარცვალს“-ო. ამ ამონაწერმა მე გამახსენა ერთი უბრალო მაგრამ ზედ გამოჭრილი ეპიზოდი იმერეთის ცხოვრებიდან: დღეობიდან დაბრუნებული გზაში მოვლაპარაკობდით რამდენიმე ახალგაზდები; ვმუსაიფობდით თემიდან გამოტანილ შთაბეჭდილებაზე; ერთმა ახალგაზდა ქალმა მეორეს გაუკეთა სამართლიანი შენიშვნა, თემში ესა და ეს შენი საქციელი უადგილო და უაზრო იყოვო; ბრალდებულმა იწყინა და ეს გაწიწმატებულმა შემოგვძახა იქ მყოფთ: „სტყუის, არ დაუჯეროთ! მე თემში ყურადღება მივიქციე მაგის თაყვანის მცემლების და იმაზე ეწვის გულიო“. ჩვენ ყველა იქ მყოფთ უნებლიეთ სიცილი შეგვსკდა და ან როგორ არ გაგვეცინებოდა, როდესაც ბრალდებული ისეთი მეტოქე იყო მოპირდაპირის, როგორიც ასმათი ნესტან-დარეჯანისა. ამ შემთხვევაშიაც სწორეთ ასე გაიცინებს ყველა, ვინც „მარცვალი“-ს არსებობას უცქერის: რა „არა-ჩვეულებრივი“ უნდა მოეხდინა და რა შური უნდა გამოეწვია იმ საცოდავ ორგანოს, რომელმაც გამოსვლა იწყო ორი ათასათ და ხუთიოდე ნომერს შემდეგ ხუთასამდე დაქვეითდა და აქედანაც ნაწილს მუქთათ არიგებს მისი აგენტები? რა ფურორი უნდა მოეხდინა იმ ორგანოს, რომელშიაც ერთი სერიოზული კითხვა არამც თუ არ გარჩეულა თეორიულათ, არამედ არც დასმულა და ნომერი სავსეა მარტო კორესპონდენციებით, ახალი ამბებით და პატარა შენიშვნებით ქართულ ბურჟუაზიულ დაწესებულებებზე? ან რა შუაშია აქ, ბატონებო, რაღაც „არა ჩვეულებრივი“ მოვლენა და მისგან გამოწვეული შური? ჩვენი კამათი გამოიწვია თქვენგან უაზროთ გასროლილმა ტალახმა თქვენი გაზეთის ფურცლებიდან; ეს ტალახი არ მიადგა იმ კედელს, რომელსაც ესროლეთ; მე ის ავიღე „მარცვალი“-ს ფურცლებითვე და უკანვე გამოგისროლეთ, რამაც თქვენი ბრწყინვალე პირისახე გამურა და თქვენც, თუ შეგეძლოთ, ეს მური უნდა ჩამოგერეცხათ საკუთარ პირისახეზე, თორემ ლანძღვა-გინებას რომ ტრაბახული ჭორი მიუმატოთ და წინდაწინვე თავი დაიზღვიოთ აღარ გიპასუხებთო,—ეს სრული სიმტყუნისა და სისუსტის ნიშანია და მეტი არაფერი.

**ლღლღა.**

*) გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ ვაცხადებ, რომ რედაქციაც, ლერაც და ლასანიძეც პირადათ კარგათ მიცნობენ და, მაშასადამე, ამ სიტყვასაც შეურაცხოფის მნიშვნელობით ხმარობენ. ლ.

# უკანასკნელი ფოსტა

## საზღვარ-გარეთ

**ფეოდალიზმის წინააღმდეგ.** კუინსხოლში (ინგლისშია) გლადსტონის სახელობის ლიგამ პირველი მიტინგი გამართა, რომელსაც მიზნათ ქონდა გამოერკვია ის ზომები, რომელნიც სოფლის ამრჩევლებს დაიცავს მემამულეთა გავლენისაგან. მიტინგის თავმჯდომარემ ლოიდ-ჯორჯმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც ამტკიცებდა ფეოდალიზმის ძირიანათ აღმოფხვრის საჭიროებას. შემდეგ ორატორმა აღნიშნა, რომ სოფლის მცხოვრებთა დამოუკიდებელ მდგომარეობის შესაქმნელათ საჭიროა მემამულეთა მიწების გამოსყიდვაო.

## რუსეთი

**დეპ. კუზნეცოვს** მიმართა ადმინისტრატიული წესით ეკატერინოსლავის გუბ. საზღვრებიდან გადასახლებულმა პ. მაქსიმოვმა და დახმარება სთხოვა. 1909 წ. მაქსიმოვი მისულა ქ. კუპიანსკში, ხარკოვის გუბერნ., მაგრამ კუპიანსკის პოლიციამ მას ნება არ დართო კუპიანსკში დარჩენილიყო. მაქსიმოვი გაემგზავრა დონის როსტოვის ოლქში და სადგურ კამინსკზე მოისურვა დარჩენა, მაგრამ აქაც არ დააყენეს. აქედან მაქსიმოვი წავიდა იმავე ოლქის სოფ. როვენკში, სადაც ადგილობრივმა პოლიციამ მას ნება მისცა მხოლოდ ერთი წლის ვადით დარჩენისა, რადგან მაქსიმოვს ერთი წლის შემდეგ სამხედრო ბეგარა უნდა მოეხადა. ერთი წლის შემდეგ მაქსიმოვი სამხედრო ბეგრის მოსახდელათ გაიწვიეს, მაგრამ მალე ავათ გახდა და ერთი წლის ვადით განთავისუფლეს. რადგან უცხო ქალაქში ვერავითარი სამუშაო ვერ იშოვა, მაქსიმოვი ისევ ეკატერინოსლავის გუბერნიაში დაბრუნდა. ეკატერინოსლავის პოლიციამ მაქსიმოვი იძულებული გახადა ეკატერინოსლავის გუბერნიის საზღვრებიდან გასულიყო. მაქსიმოვს ბედისამარა ყავს დატოვებული მოხუცებული მშობლები და მცირე წლოვანი დები. მაქსიმოვი სთხოვს დეპ. კუზნეცოვს იშუამდგომლოს, რომ ბოლო მოეღოს მის დაუსრულებელ ტანჯვაწამებას.

**პრედკალნის დეპეშა.** სახ. დუმის წევრმა პრედკალნმა (ს. დ.) ციხეების უმთავრეს სამმართველოს უფროსს, ხრულევს შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: «გთხოვთ გვაცნობოთ, რომელ ციხეებში იმყოფებიან ამ ჟამათ მეორე სახ. დუმის სოც. დემ. ფრაქციის დასჯილი დეპუტატები, რომელნიც ციმბირში გაიგზავნენ».

**საპროტესტო რეზოლიუციები** დეპ. პურიშკევიჩის უმსგავსო საქციელის დასაგმობათ სატახტო გაზეთებში ყოველ დღე აუარებელი საპროტესტო რეზოლიუციები იბეჭდება უმაღლესი სასწავლებლის მოსწავლეთაგან. პეტ. სატყეო ინსტიტუტის სტუდენტების რეზოლიუცია ამბობს: «სრულიად უყურადღებოთ ვსტოვებთ ბ-ნ პურიშკევიჩს და ჩვენს წრფელ და ღრმა აღშფოთებას ვუცხადებთ სახ. დუმის თავმჯდომარეს, რომელმაც ნება მისცა ბესარაბიელ დეპუტატს ლანძღვაგინებით მოეხსენიებია მოსწავლე ახალგაზდობა და კერძოთ მოსწავლე ქალები. ამასთან ერთათ მხურვალე თანაგრძნობას ვუცხადებთ სახ. დუმის დეპუტატებს: გეგეჭკორს, ჩხეიძეს, ბულატს, ზახაროვს, კუზნეცოვს და მილიუკოვს მოსწავლე ახალგაზდობის გამოქომაგებისათვის, რომელიც თქვენ მხარს დაგიჭერსთ საუკეთესო მომავლისათვის ბრძოლაში».

— საპროტესტო რეზოლიუციები მიიღეს აგრეთვე პეტ. პოლიტეხნიკუმის ინსტიტუტის სტუდენტებმა, პედაგოგიური აკადემიის მსმენელმა ქალებმა და კაცებმა, პეტ. უმაღლესი კომერციული კურსების მოსწავლეებმა.

— ვარშავის სტუდენტებმა დეპ. გეგეჭკორს შემდეგი დეპეშა გაუგზავნეს: „მოსწავლე ახალგაზდობა თქვენთან ერთად მიდის უკუღმართ ცხოვრების პირობებთან ბრძოლაში. არავითარ ძალმომრეობას, არავითარ სიცრუეს არ შეუძლია ჩვენში დაახშოს საუკეთესო მომავლისაკენ მისწრაფება“.

**პურიშკევიჩის „შვიდეული“.** დეპ. პურიშკევიჩმა სახ. დუმის კანცელარიაში განცხადება შეიტანა, რომელშიაც შვიდი დღით სხდომებიდან განთავისუფლებას თხოულობს, რომ სასჯელი მოიხადოს ფილოსოფოვას ქალის შეურაცხყოფისათვის.

**საშინელი ციფრები.** გაზეთ „დზიენნ“ მოყავს შემდეგი სტატისტიკური ცნობები: ამ ჟამათ ვარშავაში ირიცხება 30,000 ფარული როსკიპი ქალი; საცოლო ახალგაზდათა 70 პროც. ვენერიული სენით არის ავათ. ყოველი 15 როსკიპიდან 10 ცუსათუოთ ავათაა ვენერიული სენით.

ყველაზე მეტათ ეს სენი მუსრს ავლებს მოსწავლე ახალგაზდობას. სახალხო განათლების სამინისტრომ სასწავლებელთა მთავრობას მოსთხოვა აცნობონ ავათმყოფ მოსწავლეთა რაოდენობა.

**პეტერბურგის ინტენდანტები.** სენატორმა გარინმა პეტერბურგის სამხედრო საინტენდანტოს სამმართველოს უფროსს წინადადება მისცა წარუდგინოს მას (გარინს) პეტერბურგის ინტენდანტებს სია 1904 წლიდან დაწყებული.

ეს სიები გადაეცემა სამხედრო სასამართლოს გამომძიებელს, რომელმაც პასუხის გებაში უნდა მისცეს ინტენდანტების მთელი რიგი სხვადასხვა გვარი ბოროტ-მოქმედების ჩადენისათვის.

**სოც. დემ. ფრაქცია.** სახ. დუმის სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ ქარხანა „ვულკანის“ (პეტერბურგშია) მუშებისაგან მიიღო მისალმების წერილი „ენერგიული პროტესტისათვის სახ. დუმ ს იმ ნაწილის წინაღმდეგ, რომლის შეხედულების გამომხატველია პურიშკევიჩი და სახ. დუმის თავმჯდომარეები“. ხელს აწერს 190 მუშა.

# პროვინცია

**ლელიანის საზოგადოება.** (სიღ. მაზ.) ჩვენი საზოგადოება სხვადასხვა ამხანაგობებისაგან შესდგება, მაგრამ მათში ყველაზე უფრო საყურადღებო „ბებურიახის ამხანაგობაა“. ამ ამხანაგობას სულ 560 დესეტინა მიწა აქვს და ხელშეკრულობის ძალით, მხოლოდ 56 კომლს უნდა განეწილებია ე. ი. თითოეულ კომლს ათ-ათი დესეტინა, მაგრამ დღეს ძვირათ შეხვდებით მოსახლეს, რომელსაც ხუთი დესეტინის მეტი ჰქონდეს, პირიქით დღით-დღე იზრდება ნახევარ დესეტინის პატრონთა რიცხვი. მაგალითად დღეს უკვე ოც კომლს სახლის დასადგმელის მეტი აღარა გააჩნია-რა და ჭირნახულის მოსავანათ საიჯარო, ან სანახევრო ყანებში გადადის. ამიტომაც იმატა მცხოვრებთა რიცხვმა და ამ მამულში დღეს უკვე 56 კომლის მაგივრათ 150 კომლამდე მცხოვრებია.

ამ მოვლენის უმთავრესი მიზეზი კი შემდეგია: სამი წლის წინათ ეს მამული სადგლეხო ბანკის ხელში გადავიდა. ბანკმა თავისი აუწერელი გადასახადებით, დაუსრულებელი ჯარიმებით, ვადაზე ფულის შეუტანლობის გამო, უკვე წელში გასტეხა მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი და აი, სწორეთ ამან აიძულა გლეხები თავიანთი სკედრი მიწა სხვა—გარეშე პირთათვის განეწილებიათ; ეშოვათ მომხმარე გადასახადების გადახდაში.

მაგრამ მიწის განაწილებამ შემოსავალიც გაჭრა და გლეხი ისევ უნუგეშო მდგომარეობაში დარჩა.

აქაური გლეხის ერთად ერთი საქონელი, ბაზარზე გასატანი, სიმინდია. მაგრამ ის ნაგლეჯი მიწა, რომელიც მას დღეს დარჩენია. ცოლ-შვილსაც ვერ უკმაყოფილებს, თორემ ბაზრისთვის რადას მისცემს?. პირიქით, უმეტესობა შიმშილს განიცდის და დღიური სამუშაოც ვერ უშოვია, რომ ამით მაინც გახდეს რამე.

გადასახადები კი დღითი დღე მატულობს. მაგალითად, ათი დესიატინის პატრონი 30 მანეთს ბანკს უხდის წელიწადში. ახლა მღვდელი, სოფლის მოხელეები და ვინ იცის კიდევ რამდენი რა.

მაგრამ უბედურება ის არის, რომ უველა ამას ზედ დაერთო მეორე უფრო სასტიკი და აქაური მეურნეობის გამანადგურებელი მოვლენა, რაც შედეგში მდგომარეობს: როდესაც აქ ჩამოასახლენ გლეხები, ყველას თავის ნაწილის და მიხედვით უნდა გაეკაფა ტყე და მით ესარგებლებია, მაგრამ შეძლებულმა გლეხებმა სამი-ოთხი დესიატინის მაგივრათ, ექვსი-შვიდი დესიატინა გაჰკაფეს. ამ დროს დარიბი გლეხები კი უმიწოთ დარჩენ და იძულებული ხდებიან დღესაც გადასახადი თანასწორათ გადაიხადონ, მხოლოდ კი სარგებლობით შეძლებულმა გლეხებმა ისარგებლონ.

ეს იწვევს დაუსრულებელ შურს და მტრობას ერთმანეთ შორის, რაც თავ-პირის მტვრევით თავდება. აქ არ არის არც სამართალი. და ან ვინ გაარჩევს სისწორით, როდესაც თვით მოსამართლეები ართმევენ უმწეო გლეხებს კუთვნილ მიწას!?

არც ერთ საზოგადოებაში ისეთი თავ-ასხმულნი მოხელენი არ არიან, როგორც აქ ჩვენს საზოგადოებაშია. სკმარისია ჯობისაგან თვალი უქნა მოხელის რომ მთელი ერთი გლეხის მამული გადმოგცეს.

ამ გარემოებამ აიძულა დაჩაგრული გლეხები—მიემართნათ საგლეხო ბანკისთვის, რომ რომ როგორმე გაენაწილებია მამული მათთვის, ბანკი, მართლაც ვალდებულია გამოგზავნოს მიწის მზომელი, რადგან იმ ხარჯებში შედის მიწის მზომელის ქირა, რომელიც 50 წლის განმავლობაში უნდა გადაუხადონ გლეხებმა, მაგრამ მიდის დრო, თხოვნას-თხოვნაზე გზავნიან გლეხები, მაგრამ ბანკი ყურსაც არ იბერტყავს. ამას წინათ გამოგზავნა ბანკმა მიწის მზომელი, რომლის პროექტის ძალით ყველა გლეხები უნდა აყრილიყვნენ. პროექტში ნათქვამი იყო: „რადგან გლეხებისათვის ერთი დესეტინა ცოტაა სამოსახლოთ, ამისათვის თითოეულ კომლს უნდა მიეზომოს ორ-ორი დესეტინა, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი არ დაჰფოვს მიწებსო“. გლეხებს კი ასე ქონდათ განაწილებული: ათი დესეტინის პატრონს სამოსახლოთ ერთი დესეტინა ქონდა და ხუთისას კი ნახევარი დესეტინა. ეს იმიტომ, რომ თუ ორ-ორი დესეტინა ექნებოდათ სამოსახლოში, მაშინ მცხოვრებთა უმრავლესობას ისეთ ჭაობში უხდებოდათ დასახლება, სადაც უთუოდ შეუძლებელია ცხოვრება. ამ მოსაზრებით დასახლდნენ კიდეც გლეხები ზემოთ მოხსენებულ მიწებზე. აქვე ააშენეს ბაღები, ვაზი, ააშენეს სახლები სასიმინდეები და სხვ. მხოლოდ სავალალო ის იყო, რომ ზოგს დესეტიის მაგივრათ დესეტინა ნახევარი ქონდა და ზოგს სულაც არაფერი აი, ეს ზედმეტები უნდა გაეთანასწორებია მიწის მზომელს ყველასათვის. მაგრამ მან ამ განაწილების ნაცვლათ, ყველას აყრა მოუნდომა, რაზედაც არ დასთანხმდენ გლეხები.

აყრა მართლაც ძნელია, რადგან მთელი ოთხი-ხუთი წლის ნაშრომი უფასოთ ეღუპება გლეხს. ამასაც რომ თავი დავანებოთ ზოგს და თითქმის უმეტესობას, სრულებით ჭაობი შეხვდება სამოსახლოთ; მეორეც ზოგი ისე დაშორდება სასმელ წყალს, რომ ერთი ვერსის სიშორიდან მოუხდება ზიდვა. და ყველა ეს მიზეზები წამოაყენეს გლეხებმა ბანკის პროექტის წინააღმდეგ, რაც ჩვენი აზრით, სრულებით სამართლიანია. გვიკვირს, რა მოტივებით უარჰყოფს ბანკი გლეხების წინადადებას, როცა ეუბნებიან: „ჩვენ არ გვინდა ორ-ორი დესეტინა სამოსახლოთ, მხოლოდ რაც გვაქვს ეს დაგვინაწილე უმეტ ნაკლებოთო“. მართალია აქაც შეიძლება ორი თუ სამი კომლი აიყაროს, მაგრამ სად მთელი სოფლის აყრა და სად სამი კომლის?!.

ამის შემდეგ მიწის მზომელი წავიდა. გლეხები უკიდურეს მდგომარეობაში ჩაცვივდენ. შეადგინეს ხელშეკრულება და გაგზავნეს ბანკში, რაშიაც სრულებით ეთანხმებოდენ აყრაზე, ოღონდ კი გაეყოთ. თხოვნას-თხოვნაზე გზავნიან, მაგრამ ბანკიდან არავითარი პასუხი არ არის.

მიანებეს თავი ბაღების შენებას, სახლკარის გამართვას და დღეს გულხელ დაკრეფილნი შეჰყურებენ თავიანთ მიწას, „რათ შევაკლა თავი ტყუილათ, ვინ იცის, შეიძლება ხვალ ორრათ დამატოვებიონო“, გაიგონებთ გლეხებიდან. აი, სურათი აქაური ცხოვრებისა, რაც სამარემდის მიიყვანს აქაურ მეურნეობას, თუ კიდევ ასე გაგძელდა!..

**ბ. განელი.**

### წერილი რედაქციის მიმართ

**მგზავრების საყურადღებოთ.**

ამას წინათ მე მომიხდა სახლში (რაჭაში) გამგზავრება საჩქაროთ. მივედი თუ არა ქუთაისის სადგურზე, გამოჩნდენ ვიღაც პირები და მიმართეს ხალხს: «ვისაც რაჭა-ლეჩხუმისკენა სურს გამგზავრება, მობრძანდით ჯაჭვის ხიდთან, კარგი ნომრებია, დილიჟანსიც მზათ არისო». სხვათა შორის მე, როგორც რაჭისკენ მიმავალი, გავყევი მათ. ხიდის ყურთან, თვალის დახამხამებამდის ერთმა ბარგი გაიტაცა იქვე ნომრებისაკენ, რომლის ხაზენი, როგორც მაშინ გავიგე ვიღაც ბიჭიაა. მეორემ კი იქვე დილიჟანში გამირიგდა 3 მ. 50 და ბეც 1 მანეთი გამომართვა. იმ ღამეს ცივ-ჭუჭყიან ნომერში როგორც იქნა მოვისვენე, დაიმედებული რომ ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ჩამშხამდა ყველაფერი. მეორე დღეს როცა უკვე წასვლის დრო იყო, გავუსწორდი მედუქნეს, რომელსაც გადავეცი უკანასკნელი ათმანეთიანი. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც ხურდათ რაღაც გროშები დამიბრუნეს, მე ვკითხე მიზეზი ასეთი სიძვირისა. პასუხათ მითხრეს, რომ ნაწილი ფულის, ე. ი. თავის 3 მ. 50 კ. მეღილიჟნემ წაიღოო. მე ვუთხარი: თუ ბეთ უკვე მიცემული მაქვს მანეთიმეტქი, ამ დროს წარმოსდგა ის, ვინც მომირიგდა და მითხრა, რომ «რადგანაც წამსვლელი ბევრია, მანეთი მოვუმატეთ და ეხლა 4 მ. 50 კ. გახდაო». მე უკან მოვსთხოვე ამ შემთხვევაში ჩემი ფული, მაგრამ უარი მივიღე, „თუ გნებავთ წამოდი, თორემ სულ ერთია ფული დაგეკარგებაო“. იმას თავი დავანებე და როცა მედუქნეს მივუბრუნდი კითხვით, თქვენ რაღაში აიღეთ ამდენი ფული-მეთქი, ე. ი. 5 მანეთამდის ღამის ქირა და ვახშამში, მან უკმეხათ მიპასუხა: «ჩვენი კანონი ასეა, თუ გნებავთ პოლიციაში მიბრძანდით და იჩივლეთო, დასახასიათებლათ იმისა, რომ მე უსინდისოთ გამძარცვეს, მოვიყვან შემდეგს: 1 კვერცხში გადამახდევინეს 15 კ. ჭუჭყიან ოთახში ერთი ღამის გასათევი 1 მ. 50 კაპ. და სხ.

როგორც ბოლოს გამოირკვა, მედუქნე გაჯავრებულიყო ჩემზე, რომ მე თურმე იმის მოქიშპე მედუქნე თევზაძის დილიჟანსი დავიქირავე ის კი თავის მხრით გაჯავრებულიყო, რომ მე სხვის დუქანში ჩამოვხტი და ამგვარათ ერთმაც და მეორემაც ჩემზე იყარეს ჯავრი მით, რომ ერთისამათ გადამახდევინეს ყველაფერში. მე კი არაფერი ვიცოდი იქაური წესების და არც თითონ გამაგებინეს და ისარგებლეს ჩემი გულუბრყვილობით. ჩემს აღშფოთებას საზღვარი არა ქონდა, როცა ჩემი ნომრის პირდაპირ ერთ გლეხს, რომელიც მიცვალებულს მიასვენებდა, თვალწინ ჩემოდანი ააცალეს. ყველაფერს თავი მივანებე და ისევ უკან დავბრუნდი. ჩემი მიზანია მხოლოდ ვამცნო გამოუცდელ მგზავრებს, რომ ფრთხილათ იყვენ და ერიდონ ზემოაღნიშნულ დუქნებს, რომ მათაც ჩემი ბედი არ ეწიოთ.

**ნიკო მხეიძე.**

### ღია წერილი

**წიგნების გამომცემელ ამხანაგობა „კალამი“-ს გამგეობას ქ. ბაქოში.**

1908 წლის დასაწყისს ჩვენ, ქ. მერვის ქართველებსაც გვეწვია ბ-ნი სვიმონ სალარიძე, რომელმაც თავი გაგვაცნო როგორც გამგე-დირექტორი ბაქოს წიგნების გამომცემი ამხანაგობა „კალმისა“. შეგვკრიბა აქაური ქართველობა და აგვიხსნა მნიშვნელობა ამ ფრიად კულტურული დაწესებულებისა და მოგვიწოდა ჩავწერილიყავით წევრებათ, რაც სიხარულით მივიღეთ და პაის ფულით თითოეულმა გადავიხადეთ თითო თუმანი, თანახმად მისგან წარმოდგენილი საპაიო ფურცლებისა შემოწმებული ბაქოს ნოტარიუსის ჟდანოვის მიერ მარტის 1906 წლის, რეესტრი № 1373 ამხანაგობის ხელშეკრულება. ბ-ნი სალარიძემ დაგვპირდა, რომ დავბრუნდები თუ არაო, ანგარიშს და წიგნებს გამოგიგზავნითო, მაგრამ მიუხედავათ მისი ასეთი დაპირებისა ორი წელიწადზე მეტი გადის და არა თუ არავითარი ანგარიში ან წიგნები მიგვიღია, ისეც არ ვიცით, მიაღწია აქ შეკრებილმა ფულებმა თავის დანიშნულებას თუ არა. ამისათვის მოვითხოვთ პატივცემულ გაზეთ „ახალი სხივის“ საშუალებით გაგვაგებინოს ბაქოს „კალმის“ ამხანაგობის გამგეობამ: ირიცხება თუ არა ს. სალარიძე მათ გამგეობაში და თუ ირიცხება, წარუდგენია თუ არა ამხანაგობის გამგეობაში შემდეგ პირთა მიერ გადახდილი საპაიო ფული ქ. მერვიდან: ტარასი კლიმიაშვილი 10 მან., სტეფანე კუკულავა 10 მან., გრიგოლ ხუხუნი 10 მან., სოლომონ ჩხეიძე 10 მან., ალექსი ზერეკიძე 10 მან. და სხვათა მიერ.

მერვის ქართველების მინდობილობით
გრიგოლ ხუხუნი.

რედაქტორ-გამომც. მ. არველაძე


# განცხადება

## ქუთაისში

კიწმარაშვილის და ამხანაგობის

## თესლეულობის მაღაზიაში

მიღებულია სხვადასხვა ახალი ბოსტნეულობის, ყვავილის და ბალახების: იონჯის, სამყურის და კოინდრის თესლეულობა.

აქვე იყიდება საგანგებოთ დამზადებული ძმების პასხალიდის თეთრი აბრეშუმის თესლი. მსურველთ ეგზავნებათ სურათებიანი კატალოგი უფასოთ.

(25—6)

## კბილის

საექიმო კაბინეთი

## იოხველისა

(„გაუფრთხილდით კბილებს“ს ავტორის, ფასი 15 კ.) კბილების აქიმობა, ღრძილების, ძირების და პირიდან ცუდი სუნის. ხელოვნური კბილების ჩასმა. მიხაილოვის ქუჩა, 124, კბილის საექ. სკოლის გვერდით. (100—32)

კბილის ექიმი

## პ. ა. ქაჯაია

მიღებს ავათმყოფებს დილის 9 საათიდან საღამოს 7 სა-მდე.
მე-2 თუმანოვის ქუჩა, № 17.